

„თეოლოგიის განვითარება უწყობს ქრისტიანული სიყვარულის სიძლიერისა და სიწმიდის განვითარებას, იგი ყველგან სიწმიდის... ყოველი სახეობისთვის, რადგან ჩვენს ცხოვრებაში თუ სიყვარულს ვაძლევთ, ხარისხი-ხარისხივად ახალი დასაბუთება, რომ მიიღოს და განვითარდეს ადგილი იქონიოს.“

ხობის მოამბე

№21-22 (7035) 2 დეკემბერი, საშუალო, 2014 წელი. შპსი 70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი

საქონის ინფორმაცია ორიანობის ბიუჯეტი

2014 წლის 24 ნოემბერს, გამგეობის სააქტო დარბაზში, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ორგანიზებით გაიმართა 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა. განხილვაში მონაწილეობდნენ საზოგადოების წარმომადგენლები, გამგეობის სამსახურების და განყოფილებების ხელმძღვანელები, საკრებულოს კომიტეტებისა და ფრაქციების თავმჯდომარეები, საკრებულოს წევრები, აიპ-ებისა და სსიპ-ის ხელმძღვანელები და ფინანსური მენეჯერები.

შეხვედრა გახსნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა ედიშერ ჯობაძემ. ჩვენ კარგად შევისწავლეთ ჩვენი შესაძლებლობები, აღნიშნა მან, გავაკეთეთ ანალიზი და 2015 წლის ბიუჯეტი განვსაზღვრეთ 6 220 600 ლარით.

ხობის მუნიციპალიტეტის თითოეულ მოქალაქეს გაზეთ „ხობის მოამბის“ და ელექტრონული ვერსიითაც ჰქონდათ საშუალება გასცნობოდნენ, თუ როგორ დაიხარჯება იგი.

იმ მძიმე მემკვიდრეობის ფონზე, რაც ჩვენ მივიღეთ, ვეცადეთ გამოგვეყო პრიორიტეტები, ხალხის სოციალური მდგომარეობის გასა-

უმჯობესებლად და საგანმანათლებლო კულტურული პროექტების დასაფინანსებლად. 2015 წლის ბიუჯეტს შეიძლება ეწოდოს „სოციალური“ ბიუჯეტი, რადგან იგი ძირითადად ორიენტირებულია მოსახლეობაზე, მათი ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე, განათლებაზე.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა გოჩა ქაჯაიამ ისაუბრა იმ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რომლის განხორციელებაც მომავალ წელს იგეგმება. მან განსაკუთრებით გამოყო რამდენიმე საკითხი, რომლის განხორციელებაც ხელს შეუწყობს თანხების გამონთავისუფლებას და მისი სხვა კუთხით მიმართვას. საქმე შეეხება იმ ტექნიკის შექმნას, რომელიც მუნიციპალიტეტის შიდა გზების სარემონტო და მოვლით სამუშაოებს შეასრულებს, აქვე ითქვა, რომ აუცილებლად უნდა შესრულდეს ნაპირსამაგრი სამუშაოები, რადგან წლობით დაგროვილმა ამ პრობლემამ დააზარალა მოსახლეობა და სოფელი. ბატონმა გოჩა ქაჯაიამ ხაზი გაუსვა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ სამუშაოებს, აღნიშნა, რომ ამ პროგრამის ფარგლებში აუცილებელი და პრიორიტეტული იქნება მოსახლეობის აზრი, მათი ინტე-

რეხები. გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ბატონმა დავით ჭოჭუამ დეტალურად განიხილა ბიუჯეტის მუხლები, აღნიშნა ის ცვლილებები, რომელიც გათვალისწინებულია განხილვის პირველ ეტაპზე. ბიუჯეტის პროექტის განხილვაში მონაწილეობდნენ და სიტყვით გამოვიდნენ კულტურის, განათლების, სპორტის, ძველთა დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ქალბატონი როზეტა შულაია, შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსი ქალბატონი შოლინა კანკია, საკრებულოს წევრები-ბატონები მალხაზ ლაგვილაძე, როსტევეან გვარამია, ხობის საფეხბურთო კლუბის წევრები და გულშემატკვირები, საზოგადოების წარმომადგენლები.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა შეაჯამეს შეხვედრა და კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ ბიუჯეტი მაქსიმალურად იქნება ორიენტირებული საზოგადოების ინტერესებზე, ხალხზე, მუნიციპალიტეტის თითოეულ მოქალაქეზე.

მანანა შულაია.



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებები N 38-42
➔ 7-14

ვიხილავთ ბიუჯეტის პროექტს
➔ 3

ზაზა ბუკია: შაკეთოთ საქმე, რომელიც ხალხს ნაადრევა
➔ 6

ავთანდილ ქირია: „კეთილშობილება და სიბერე უმეღობის იმერქმებს“
➔ 6

მოვუაროთ ჩვენს ქალაქს!..
➔ 12

ახალი რუსი
ირაკლი სიჭინავა საქართველოს გამარჯვების გჯეროდეთ
➔ 15

გამოიწერეთ გაზეთი „ხობის მოამბე“



ერთი წლით მხოლოდ 17 ლარად!

პინილავი ბიუჯეტის პროექტს

2014 წლის 24 ნოემბერს სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მოეწყო 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა.

გთავაზობთ მოსაზრებებს და წინადადებებს, რომელიც განხილვის დროს გამოითქვა.

მალსაზ ლავილავა-ფრაქცია „ქართული ოცნება რესპუბლიკელების“ თავმჯდომარე.

მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი არის სოციალურად ორიენტირებული ბიუჯეტი, გამოკვეთილია მთავარი პრიორიტეტები და პროგრამები, რომლებიც მიგვაჩინა, რომ მნიშვნელოვანია ჩვენი მოქალაქეებისთვის. შენარჩუნებულია ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის ტრადიციული მიმართულებები განათლების, სპორტის, კულტურის, კულტურის, ჯანდაცვისა და სპორტის სფეროში. სიახლე ის არის, რომ წინა წლებიდან განსხვავებით, 2015 წლიდან, სობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გათანაბრებით ტრანსფერზე იქნება დამოკიდებული, რამაც 2015 წლისთვის თითქმის მილიონნახევარი ლარი შეადგინა, რაც მოთხოვნილის ნახევარია მხოლოდ და იმედი გვაქვს, რომ მომავალში გაიზარდება. ამაზე ალბათ მოსახლეობას სათანადო ინფორმაციას შესაბამისი თანამდებობის პირები მიწავლდნენ.

მთავარი კი მაინც ის არის, რომ არსებული საბიუჯეტო სახსრები გამოყენებული უნდა იქნას რაციონალურად და ეფექტურად, რათა გამოჩნდეს თითოეული ხარჯის სოციალური და ეკონომიკური შედეგი. აუცილებელია, რომ თითოეულ მხარჯველს სუბიექტს მოსახლეობის წინაშე ანგარიშვალდებულების მეტი პასუხისმგებლობა ჰქონდეს. ამ მიმართულებით წინა წლებიდან განსხვავებით, საკრებულოში ჩატარდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დაფუძნებული ოურიდული პირების ანგარიშების მოსმენები, რაც მომავალშიც უნდა გაგრძელდეს. ეს ანგარიშები საჯარო უნდა იყოს და ქვეყნდება კიდევ, რომ გაიზარდოს მოქალაქეთა ჩართულობა მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროცესში და მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა, მოგვარდნის წინადადებები და შეფასებები. მოგვსენებათ, რომ მიმდინარეობს გამგებობისა და საკრებულოს აპარატის ოპტიმიზაციის პროცესი, რაც ასევე მნიშვნელოვანია საბიუჯეტო ხარჯების თვალსაზრისითაც. ჩატარდება კონკურსი საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად. ჩვენ ვცდილობთ, რომ ეს პროცესი შედარებით უმტკივნეულოდ ჩატარდეს, შევინარჩუნოთ პროფესიონალი კადრები და ახალ სახეებსაც უნდა მიეცეთ უნარების გამოვლენის შესაძლებლობა. საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - რესპუბლიკელების“ ინიციატივით უკვე რამდენიმე დღეა ტარდება სემინარები საკონკურსო ტესტებთან დაკავშირებით, სადაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია დაესწროს და იმედი გვაქვს, რომ კონკურსის შედეგები სამართლიანი იქნება.

როსტეკან გვარამია - მაჟორიტარების ფრაქცია „თავისუფლების“ თავმჯდომარე

არც ერთი სიტყვა, არც ერთ თავყრილობაზე, არ დამიწერია ლექსით. დღეს მე შემოგთავაზებთ გარკვეულ ლირულ გადახვევას და მინდა გავიხსენოთ ლაღო ასათიანის მშვენიერი პოეზიის ორიოდე სტრიქონი-სომ ლამაზია ეს ჩემი ცოლი, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა...“ და ა.შ. დანარჩენი სტროფები გულში თქვენ თვითონ გააგრძელეთ. ეს იუმორისტის, ვინაიდან ჩემზე ჭკვიანი ადამიანები და მეც, რა თქმა უნდა, ვიზიარებ იმას, რომ როდესაც ადამიანები იუმორის გრძნობას კარგავენ, ერის, ბერის და ზოგადად, საზოგადოების, სოციალური ნორმალური განვითარება კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. ეს იმიტომ მოგახსენებ, რომ მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი არ არის ის, რაც მინდა იყოს, მაგრამ არსებული ფინანსური-სამართლებრივი და სოციალური მდგომარეობა ვერ მაძლევს უკეთესი პროექტის დადების შესაძლებლობას.

მოგვსენებათ, რომ მე არ წარმოვადგენ არც ერთ პოლიტიკურ ძალას, რომლებიც წარმოდგენილი არიან სახელმწიფო მმართველობისა და თვითმმართველობის დონეებზე. არც ე.წ. „ოპოზიციის“ რომელიმე მიმართულებას. მე გამანჩნა ჩემი, შესაძლოა, სუბიექტური, სოციალურ-პოლიტიკური, სამართლებრივი და მორალური შეხედულებები, რომელთა საფუძველზე მინდა შემოგთავაზოთ ის პრიორიტეტები, რომელიც წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტში ხაზგასმული უნდა იყოს.

თულ მოაზროვნე მომავალ თაობას, რომელზედაც მე ზემოთ მქონდა საუბარი, შეუძლია არსებული კულტურის შენარჩუნება, განვითარება და განვრცობაც. აქ თეატრზე იყო საუბარი, რეპლიკის სახით ვთქვი „თეატრი არ შეიძლება იყოს მხოლოდ შენობა, თეატრის მცნება, იგი უპირველესად, დასის არსებობას ნიშნავს. ამ უზარმაზარი და საჭირო შენობის რეაბილიტაციას და მის გამართულ მდგომარეობაში ჩაყენებას ვუჭერ მხარს და დაუჭერ კიდევაც. უბრალოდ, მისი სტატუსი მე დღემდე ვერ გამირკვევია, უძრავ ქონებასაც თავისი სახელი და გვარი უნდა გაანდეს, როგორც ჩვენ სულიერებსა და მოკვდავებს. ცნობილი მოღვაწეების, სახელოვანი პირების სახლ-მუზეუმებზე იყო საუბარი, რა თქმა უნდა, ვალდებულნი ვართ, რომ მოუვაროთ მათ, თუ ვინმეს, ადრე მირჩხულავა მხოლოდ საბჭოთა პოეტი ჰკონია, ვურჩევდი მისი „თეატრი ვერზე“ ან „აფხაზურა“ წაიკითხო.

1. პრიორიტეტი ადამიანთა რესურსებისა. მასში პირველ რიგში, ვგულისხმობ ჯანდაცვის პრიორიტეტს.
2. მე ვეთანხმები ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმის შემუშავების დაფინანსებას. ღირს ამისთვის თანხის გაღება, მაგრამ ეს უნდა იყოს კომპეტენტური ხალხის მიერ შემუშავებული ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელსაც ყოველი მომდევნო ხელი-სუფლების ცვლილება თვითნებურად ვერ შეცვლის.

2. მე ვეთანხმები ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმის შემუშავების დაფინანსებას. ღირს ამისთვის თანხის გაღება, მაგრამ ეს უნდა იყოს კომპეტენტური ხალხის მიერ შემუშავებული ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელსაც ყოველი მომდევნო ხელი-სუფლების ცვლილება თვითნებურად ვერ შეცვლის.

თუ ამ ეტაპზე, ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე, მათი ფუნქციონირება არ შეგვიძლია, იქნებ მათ კონსერვაციაზე ვიფიქროთ, წინაპართა აჩრდილები ალბათ მომავალმა თაობებმაც უნდა იხილონ.

3. კულტურას რაც შეეხება, ჩვენ უზარმაზარი კულტურის მემკვიდრეები ვართ და ადენად, ვალდებულები ვართ მოვუვაროთ მას. ჩემი ღრმა რწმენით, ალბათ მხოლოდ იმ ზნეობრივად გამარ-

3. კულტურას რაც შეეხება, ჩვენ უზარმაზარი კულტურის მემკვიდრეები ვართ და ადენად, ვალდებულები ვართ მოვუვაროთ მას. ჩემი ღრმა რწმენით, ალბათ მხოლოდ იმ ზნეობრივად გამარ-

სხვა, ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მე ვერაფერს ვიტყვი, ვინაიდან ეს საკმაოდ მოცულობითი და კაპიტალტევად სამუშაოებს გულისხმობს, რომლის დაფინანსება ჩვენი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს არც ძალუძს და არც მოეთხოვება, ამიტომ მივმართოთ მათ, ვისაც ეს ხელეწიფება და სამართალმოვალეობაც გააჩნია.

შოლინა კანკია - გამგებობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის უფროსი.

სობის მუნიციპალიტეტში 2015 წლის ბიუჯეტის პროექტით, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის პროგრამების დასაფინანსებლად გამოყოფილია 477802 ლარი. მათ შორის სოციალური დახმარებებისთვის 353950 ლარი, ხოლო ჯანდაცვის პაკეტის დაფინანსებაზე გათვალისწინებულია 123852 ლარი.

* ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) მოქალაქეებზე 2012 და 2013 წელს გაიცა 700 ლარი. 2014 წელს 6-ზე გაიცა 900 ლარი. 2015 წლისთვის გათვალისწინებულია 6 უხუცესზე დახმარება, თითოეულზე 150 ლარი.
* დედ-მამით ობოლ 18 წლამდე ასაკის ბავშვებს დახმარება გაეწევა ერთჯერადად, დედის დღესთან დაკავშირებით 2014 წელს 3 ობოლ ბავშვზე გაიცა 450 ლარი. 2015 წლისთვის 5 ობოლ ბავშვზე ერთჯერადად დახმარებისთვის გათვალისწინებულია 750 ლარი, თითოეულზე 150 ლარი.
* ახალშობილთა დახმარებაზე გაეცემულია 2014 წლის ოქტომბრის მდგომარეობით 252 ახალშობილზე 31000 ლარი. მათ შორის პირველ და მეორე ბავშვზე 20600 ლარი, ხოლო მე-3 და ზევით 46 ახალშობილის ოჯახზე-10400. სულ-31000 ლარი. 2015 წლისთვის გათვალისწინებულია 350 ახალშობილი, 100 ლარი ყოველ ახალშობილზე სულ 300 ბავშვი თანხით 28000 და ყოველ მე-სამე და ზევით ახალშობილზე-300 ლარი საშუალოდ 70 ბავშვზე 21000 ლარი. სულ 350 ახალშობილზე წელიწადში 49000 ლარი.
* დევნილის დაკრძალვაზე. 2015 წელს გაიცემა 3000 ლარი.
* სამამულო ომის ვეტერანებზე

9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით, 2014 წელს-18 ვეტერანზე გაიცა 2700 ლარი. 2015 წელს გათვალისწინებულია 2250 ლარი.
* სამამულო ომის ვეტერანების დაკრძალვაზე 2014 წელს 10 თვეში გაიცა 750 ლარი. 2015 წელს გამოყოფილია 3750 ლარი.
* 2012 წელს შემოსულია 2014 წლისთვის გათვალისწინებულია იყო 55 000 ლარის ერთჯერადი ფულადი დახმარება არა უმეტეს 200 ლარის ერთ ბენეფიციარზე. 10 თვეში 450 ბენეფიციარზე 35930 ლარი გაიცა. 2015 წლისთვის გამოყოფილია 55000 ლარი.
* ხანძრით და სტიქიით დაზარალებულთა და დამეწყრილთა ოჯახების დახმარებებზე: 2012 წელს 3 დამეწყრილ ოჯახზე 9000 ლარი გაიცა. 2013 წელს ოქტომბრის მდგომარეობით 40 ოჯახს 14465 ლარის დახმარება გაეწეა. 2014 წლისთვის გათვალისწინებულია 30000 ლარი. დღეის მდგომარეობით გახარჯულია 5826 ლარი. 2015 წელს გამოყოფილი იყო ასევე 30000 ლარი.
* უმწეო კატეგორიაზე სასმელი წყლის ხარჯის ანაზღაურება. 2014 წლისთვის გათვალისწინებულია 100 ოჯახზე 6000 ლარი. 2015 წელსაც

გათვალისწინებულია 6000 ლარი.
* საოპერაციო დახმარებებზე 2013 წლის ივლისიდან საყოველთაო დაზღვევის ამოქმედების შემდეგ არის ერთეული შემხვევა, როცა ავადმყოფებს არ გააჩნდათ პოლისი და საჭირო ოპერაცია საყოველთაო დაზღვევით არ ფინანსდებოდა, მათ გაეწეათ სულ ავჯისტოს თვიდან 4017 ლარის დახმარება. სულ 2013 წელს საყოველთაო დაზღვევის ამოქმედებამდე დახმარება გაიცა 71515 ლარი, თვეში საშუალოდ 10200 ლარი, საყოველთაო დაზღვევის ამოქმედების მერე 4 თვეში გაიცა 4017 ლარი, თვეში საშუალოდ 1000 ლარი, გამოდინარე ზემოთ აღნიშნულიდან, სულ ასეთ დახმარებისთვის 2014 წლისთვის გათვალისწინებულ იქნა 30 000 ლარი, რაც აღმოჩნდა არასაკმარისი და 2015 წელს გათვალისწინებულია 40000 ლარი.
* მუნიციპალიტეტში ამჟამად დიალუზზე მყოფი პაციენტი არის 13, ავადმყოფებს კვირაში 3-4 ჯერ უწევთ რეგონის სამედიცინო დაწესებულებებში სიარული სამკურნალო დახმარებისთვის, რომელიც მათთვის სასიცოცხლო ჩვენებას წარმოადგენს, აღნიშნულმა ავადმყოფებმა განცხადებით მოგვმართეს, რათა მათ გაეწეოთ ყოველთვიური დახმარება ტრანსპორტირებისთვის. რადგან აქვთ მძიმე ეკონომიური მდგომარეობა. 2014 წელს ასეთი სახის დახმარების გაწევა გათვალისწინებულია 13 ავადმყოფზე ყოველთვიურად 100 ლარის ფარგლებში, სულ წელიწადში 13 ავადმყოფზე 15600 ლარი. 2015 წელს გათვალისწინებულია იგივე თანხა 15600 ლარი.
* 2015 წლის პროგრამაში შევიდა

ცვლილებები, სხვა წლებთან განსხვავებით, კერძოდ, დაემატა ჩერნობილის ტრაგედიის მონაწილეთა ერთჯერადი დახმარების თანხა, სულ 17 მონაწილეზე თვეში 100 ლარი. სულ თანხა 1700 ლარი.
* მუნიციპალიტეტის უმწეოთა დახმარების კომისიაში წლების განმავლობაში შემოსულია მოქალაქეთა განცხადებები, რომლებიც თხოვენ საცხოვრებელი სახლების (ავარიულ მდგომარეობაში) მყოფი სახლების შესაკეთებლად ერთჯერად დახმარებას, რაც წელს გათვალისწინებული იქნა უმწეო კატეგორიაზე და ამავე დროს ყველაზე ცუდ პირობებში მცხოვრებ ოჯახებზე, რომელთაც შუამდგომლობას გაუწევს გამგებლის წარმომადგენლები და ავადმყოფი დაეუბრალები. სულ გამოყოფილია 35-40 ოჯახზე. 40000 თანხა ლარი. თითოეულზე შესაბამისი ხარჯთაღრიცხვით 500 დან 3000 ლარამდე.
სათნობის სახლის დასაფინანსებლად, რომელიც ემსახურება 120-მდე უმწეო კატეგორიის, ერთჯერად კვებისათვის. გათვალისწინებულია 2015 წლის ბიუჯეტის პროექტით 94000 ლარი.
ჯანდაცვის მუნიციპალიტეტის პაკეტით გათვალისწინებულია დამატებითი ამბულატორიული დახმარების პროგრამით 23400 ლარი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, რომელიც ახორციელებს მუნიციპალიტეტში გადამდები და არა გადამდები დაავადებების აღმოფხვრისთვის საჭირო დონისიძიებების გატარებას, გათვალისწინებულია 2015 წელს პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფოს 100452 ლარი.



ჩვენს მუნიციპალიტეტში

ქალთა მიმართ ძალადობის აქტივს ხობის მუნიციპალიტეტში



25 ნოემბერს საქართველოს მასშტაბით ერთდროულად გამართულ აქციას „არა ქალებზე ძალადობას“ მხარდაჭერის მიზნით ხობელნიც შეუერთდნენ. საზოგადოება ქალაქ ხობის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლთან შეიკრიბა და ერთად გააპროტესტეს ქალებზე ძალადობა.

„არა ძალადობას! არა ფემიციდს!“ „ნამდვილი მამაკაცი ქალზე არ ძალადობს“, „ნუ დაჩაგრავ ქალს“, „STOP ქალთა მიმართ ძალადობას“, „ქალს უფლება აქვს იცხოვროს ძალადობის გარეშე“, „მშვიდობა შინ და მშვიდობა გარეთ“ – აქციის მონაწილეებმა ამ ტრანსფორმაციებით დაგმეს ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობისა და ბოლო პერიოდში გაზრდილი ფემიციდის შემთხვევები.

აქციის ორგანიზატორმა, სამეგრელოს გენდერული ქსელის ხობის საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელმა მანანა შულაიამ აქციის მონაწილეებთან ერთად ქუჩაში საინფორმაციო ფურცლები „ნარინჯისფერად გავაფერადოთ სამყარო“ და „პოლიციის ვალდებულებები ოჯახში ძალადობის შემთხვევაში“ დაარიგეს.

მიწის ნაპვითაზა სახუთრების უფლების აღიარების ჯომისიის სხდომა



19 ნოემბერს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის სხდომა გაიმართა, სადაც კომისიის სახელზე შემოსული ორი განცხადება იქნა განხილული, მათ შორის დაკმაყოფილდა ერთი განცხადება, ხოლო მეორე განცხადების განხილვა გადაილო მომდევნო სხდომისთვის.

შეხვედრა ასოციაცია „ათინათის“ წარმომადგენლებთან

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში ასოციაცია „ათინათა“ პროექტის „ქალთა გაძლიერება ცვლილებისთვის“ ფარგლებში შეხვედრა გამართა. პროექტი დაფინანსებულია გაეროს განვითარების პროგრამის „გენდერული თანასწორობის გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში და ის ორიენტირებულია ხელი შეუწყოს თემებში არსებული სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას, ქალთა თანასწორობას, მათ ეკონომიკურ და სამოქალაქო გააქტიურებას.



შეხვედრაზე პროგრამის ფარგლებში ასოციაციის წევრებმა დამსწრე საზოგადოებას გააცნეს ხობის მუნიციპალიტეტის თორსა-დღვანის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული პრობლემები და მათი მხრიდან გაკეთდა პრეზენტაცია მათი გადაჭრის გზებზე. შეხვედრის მონაწილეებმა დეტალურად ისაუბრეს ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ პრობლემებზე და ურთიერთთანამშრომლობით მათი ერთობლივად გადაჭრის გზებზე.

შეხვედრას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, გამგებლის მოადგილეები: ვარაზ გაბედავა და მახარე ჩოკორაია, საკრებულოსა და გამგეობის სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდნენ.

ქანსიკური მუსიკის კონცერტი სამუსიკო სკოლაში




25 ნოემბერს ხობის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლაში გაიმართა კლასიკური მუსიკის კონცერტი. სამუსიკო სკოლის მოსწავლეების მიერ შესრულდა კლასიკური და ვოკალური ნომრები.

კონცერტს ესწრებოდნენ საკრებულოს თავმჯდომარე ე. ჯობავა და საკრებულოსა და გამგეობის სხვა თანამდებობის პირები, რომლებმაც კონცერტის დასასრულს სამუსიკო სკოლის აღსაზრდელებს შემდგომი შემოქმედებითი წარმატებები უსურვეს.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაციები.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ახალი მანქანა ხობში

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ სამეგრელოს რეგიონში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრებში გაუმართავი მანქანები ახალი „Ford“-ისა და „VOLKSWAGEN“-ის ტიპის მანქანებით ჩაანაცვლა. სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანების განახლებისთვის, სამინისტროს ბიუჯეტიდან 11 მლნ ლარი გამოიყო. ხობის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს ამჟღავნებს ერთი „VOLKSWAGEN“-ის ტიპის მანქანა გადასცეს, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს, ავტომანქანაში დამონტაჟებულია კარდიოგრაფის აპარატი, ლეფიბრილატორი, უანგბადი.



სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტოპარკი სრულად 2014 წლის ბოლომდე განახლება და ხობის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს, დამატებით კიდევ ერთი ავტომანქანა გადაეცემა. ხობის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში სასწრაფო მანქანის გადაცემის ცერემონიაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გონა ქაჯაია დაესწრო.

პატარა ფოთში წყლის მიღების სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს



ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გონა ქაჯაიამ და გამგებლის მოადგილემ ვარაზ გაბედავამ, სოფელ პატარა ფოთში მიმდინარე წყალსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს. ნოსირი-ფოთის წყალსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოებს შპს „საბა“ ახორციელებს, სადაც ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმებული. წყლის ახალი ქსელი უკვე გაყვანილია ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალადიდში, საჭოჭუეთში. 11 კილომეტრიანი მონაკვეთი პატარა ფოთში ორ თვეში დასრულდება, რის შემდეგაც ოჯახებში წყლის მიღების შეეყვანა დაიწყება.

საინფორმაციო შეხვედრა ფეხმარებელთა და კოოპერატივების წარმომადგენლებთან

24 ნოემბერს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში არასათავრობო ორგანიზაცია „ქეპას“ წარმომადგენლები, კოოპერატივების მობილიზაციის კოორდინატორი ელისო ცხადაია, მობილიზატორი თინათინ დიდიშვილი და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანო-ხობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი ანგულ მიქაია, ფერმერებსა და კოოპერატივების წარმომადგენლებს შეხვედრენ. საინფორმაციო შეხვედრაზე პროექტი „თანამშრომლობა საქართველოში სოფლის აღორძინებისთვის“ ფარგლებში განსახორციელებელ საგრანტო კონკურსის მეორე ეტაპზე, ბიზნესით დაინტერესებული ფერმერთა



ჯგუფებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ ისაუბრეს. დამსწრე საზოგადოებას ბიზნეს იდეის მომზადების შესახებ სააპლიკაციო ფორმა და სახელმძღვანელოები გადასცეს.

მიმდინარეობს ჯებთაძე მისასვლელი გზის სამუშაოები



ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გონა ქაჯაიამ და გამგებლის პირველმა მოადგილემ ვარაზ გაბედავამ სოფელ ხამისკურში ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერეს. სოფელ ხამისკურში, ჯებეთის მთის მალაღ მწვერვალზე მდებარეობს „ჯებეთის“ წმინდა გიორგის სალოცავი. სალოცავთან ორი ბუნებრივი და ერთი ხელოვნური გამოქვაბულია, რომლებიც მეცნიერების მიერ არ არის შესწავლილი. სალოცავს აკრავს გალავნის ნაშთები, რომელიც მეგალითური ნაგებობების შთაბეჭდილებას ტოვებს.

ა(ა)იპ „ჯებეთის ფონდის“ მიერ დაგეგმილია ჯებეთის სამონასტრო კომპლექსის აღდგენა. მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე გაჩენილი ტყის აღსადგენად დათესილია წაბლის, მუხისა და კაკლის თესლი. ამჟამად მიმდინარეობს ჯებეთამდე მისასვლელი გზის მოხრეშვითი და ხიდ-ბოგირის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

12-19 ნოემბერს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო, სოციალურ საკითხთა და ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიებზე მოსმენილიქნა საკრებულოს მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მიერ 9 თვეში გაწეული მუშაობის ანგარიშები. ცენტრის დირექტორების ანგარიშების წარმოდგენის შემდეგ კომისიამ შესაბამისი შეფასებები მისცა მათ მიერ გაწეულ მუშაობას. ჩვენ დაგუჯავშირდით ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ დირექტორს ელისო კვიციანიას, ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორს ნორა იოსავას და კულტურის ცენტრის დირექტორს ბატონ ბეჟან ნადარაიას.

ამჯერად ვებგვერდით ამონარიდებს მათი ანგარიშებიდან.

ბაღეში სწავლა უფასო. კვება სამუშაო

2014 წლის ბიუჯეტით, ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანებაში“ 2013-2014 სასწავლო წლის ბოლომდე ფუნქციონირებდა 29 საბავშვო ბაღი 1014 აღსაზრდელზე; ხოლო ახალი 2014-2015 სასწავლო წლიდან კი-30 ბაღი, დაგეგმილი 1092 აღსაზრდელზე. რაც სტატისტიკურად წინა წელთან შედარებით 78 აღსაზრდელი მეტია. დღევანდელი მონაცემით 50 ჯგუფში ჩარიცხულია შესაბამისი ასაკის მქონე 1090 აღსაზრდელი.

პრობლემა შეიქმნა 7 მცირეკონტიგენტის საბავშვო ბაღში, სადაც დაგვირგნო თავისუფალი ადგილები, დაგეგმილი კონტიგენტი ვერ შეივსო. ძალიან გადატვირთული იყო ქალაქ ხობის №2 საბავშვო ბაღ-ბაღი, რომელიც 130 აღსაზრდელზე იყო დაგეგმილი. დარეგისტრირებულ აღსაზრდელთა რაოდენობა კი იყო 161. პრობლემის მოსაგვარებლად აღნიშნულ ბაღში ახალი სასწავლო წლისათვის დამატებით გაიხსნა ახალი, მეექვსე ჯგუფი, რამაც ჯგუფების განტვირთვის შესაძლებლობა მოგვცა.

გაერთიანების 2014 წლის ბიუჯეტით ქარიატის საბავშვო ბაღი დაგეგმილი იყო 2 ასაკობრივ ჯგუფზე, 41 აღსაზრდელზე, მაგრამ 2014-2015 სასწავლო წლისათვის ჩარიცხა მხოლოდ 33 აღსაზრდელი, რის გამოც მეორე ჯგუფის გახსნა ვერ მოხერხდა.

რადგანაც სახელმწიფო ბაღებში სწავლება არის უფასო, მოთხოვნა ბაღებზე გაზრდილია გასულ წელთან შედარებით, წელს სრულად დავაკმაყოფილეთ მოსახლეობის მოთხოვნა, რაც ახალი ჯგუფების რაოდენობის გაზრდით იქნა შესაძლებელი.

ახალი საბავშვო ბაღი გაიხსნა სოფელ შავდელში 30 აღსაზრდელზე; ხოლო ახალი ჯგუფები გაიხსნა ახალი ხობის და ქვემო ქვალონის საბავშვო ბაღებში. ახალი ჯგუფების გახსნაში დიდი დახმარება გააკეთა პოლიციის საელონი, საერთაშორისო დახმარების პროგრამის ფარგლებში. საელონი მიერ შემოტანილი იყო კოსმეტიკური რემონტისთვის საჭირო მასალები, ავეჯი, სათამაშოები, სასწავლო და საკანცელარიო ნივთები.

გაერთიანების სამ, სამჯგუფიან (ქ.ხობის №3, პირველი მაისისა და ხეთის №1) საბავშვო ბაღ-ბაღში 1 მარტიდან გამდიდრდა „მნეს“ შტატი 250 ლარის სახელფასო სარგოთი. მცირეკონტიგენტის საბავშვო ბაღებში, სადაც თანამშრომელთა და აღსაზრდელთა რაოდენობის თანაფარდობა იყო 1:1 ან 1:2, ნოემბრიდან შემცირდა თანამშრომელთა რაოდენობა მხოლოდ ერთი საშტატო ერთეულით.

2014 წლის ბიუჯეტში „შრომის ანაზღაურების“ მუხლში არსებული

რობის მხარდაჭერით, სკოლამდელ დაწესებულებებში 2015 წლიდან იგეგმება წყლისა და საკანალიზაციო სისტემების მოწესრიგება.

გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში დაფინანსებით მიმდინარე საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრის მიერ“-ქალთა გაძლიერება ცვლილებებისთვის და ასოციაცია „ათინათის“ ხელშეწყობით პირველი მაისის საბავშვო ბაღ-ბაღში განხორციელდა კანალიზაციის რეაბილიტაციის პროექტი. პროექტის საერთო ღირებულება შეადგენდა 7778,40 ლარს. სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების წვლილი აღნიშნულ პროექტში იყო 800 ლარის თანადაფინანსება.

არასამთავრობო ორგანიზაციამ „ASB“ სკოლამდელი დაწესებულებების მთავარი სპეციალისტებისა და აღმზრდელ მასწავლებლებისთვის ჩატარა ორდღიანი ტრენინგი თემაზე: „ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება“. ტრენინგზე გადამზადდა 30 მთავარი სპეციალისტი და 50 აღმზრდელ მასწავლებელი.

ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე აღმზრდელ მასწავლებლებსა და მუსიკის მასწავლებლებს პერიოდულად ჩატარდათ გაერთიანების მიერ დაგეგმილი სემინარ-კონსულტაციები. ახალი ჯგუფის აღმზრდელ მასწავლებლებმა გაიარეს არასამთავრობო ორგანიზაციის „კვიტას გეორგიას“ მიერ ორგანიზებული ორდღიანი ტრენინგი. მასწავლებლებს გადაეცათ შესაბამისი სერთიფიკატები.

ვიმედოვნებთ, რომ გაერთიანების შემდგომი მუშაობა უფრო წარმატებული და ნაყოფიერი იქნება.

ელისო კვიციანია.

ჩვენს მიერ ჩატარებული ნებისმიერი ღონისძიება კულტურის ცენტრისა და გამგეობა-საკრებულოს სამსახურების ურთიერთ თანამშრომლობითა და პოზიციების შეჯერებით ხდება. 9 თვის შედეგების მიხედვით ჩვენ შევძენეთ თვალსაზრისით ორიენტირებული ვიყავით ცვლილებების განხორციელებაზე, რათა სპეცსახსრებზე მეტი თანხა ყოფილიყო მოხილვადი. ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 14015 ლარი, ფაქტობრივად შესრულებამ შეადგინა 8397 ლარი. შეუსრულდა

უინაოსიანად და უაღიანად

კულტურის ცენტრის მიერ გამოწვეულია სტუდიებში მოსწავლეთა გადინებისა და სწავლის ქირის მომდევნო თვეში გადახდით. შეიქმნა გიტარის, სამეჯლისო ცეკვების ფასიანი და უფასო წრეები. დიდი ხნის პაუზის შემდეგ მოხდა ბავშვთა თეატრალური დასის აღდგენა. მთავარი სპეციალისტის მარინა ჯღარკავას რეჟისორობით დაიდგა „ნაცარქექია“, რომლის პრემიერამ დიდი მოწონება დაიმსახურა. სექტემბრის თვეში მოეწყო სამდღიანი ჩვენება, რომელსაც მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა საჯარო სკოლა დაესწრო. წარმატებები გააჩნია ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლებს, ხელ. კ. გერგაია, თ. ჩიტაია, კ. ჩიტაია, გ. გახარია, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს როგორც რესპუბლიკურ, ასევე საერთაშორისო დონის სიმღერებში. აგვისტოს თვეში ქორეოგრაფიული ანსამბლმა „კოლხეთი“ (ხელმძღვანელი კ. გერ-

გაია) მონაწილეობა მიიღო შავი ზღვის ქვეყნების საერთაშორისო ქორეოგრაფიულ ფესტივალზე. აღსანიშნავია ფოლკლორული ანსამბლი „კოლხეთის“ კარგი მუშაობა, ხელმძღვანელი ნ. ზარანდია. მაისის თვეში კულტურის ცენტრში არსებულმა ყველა წრემ და სტუდიამ ჩატარა საანგარიშო კონცერტი. აღსანიშნავია საჯიჯაოს, ქვემო ქვალონის, პირველი მაისის სასოფლო კლუბების მუშაობა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მართვის სწორ დაგეგმვას და ღონისძიების ხარისხს.

კულტურის ცენტრის მიერ გამოწვეულია სხვადასხვა სახის ჟურნალ-გაზეთები. შექმნილიქნა ახალი მხატვრული, საბავშვო და სხვადასხვა სახის ლიტერატურა. ღონისძიების ხარჯებისთვის 9 თვეში დაგეგმილი იყო 33700 ლარი, გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 324 09 ლარი. ცხრა თვის განმავლობაში ჩატარდა შემდეგი სახის ღონისძიებები: დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი საღამო, ცხრა აპრილს დაღუპულთა სსოფინსადმი მიძღვნილი რეკვიემი, ცხრა მაისის დონისძიება, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი გალაკონცერტი, საერთა-საეკლესიო ღონისძიება „ცოტნეობა 2014“ საბავშვო სპექტაკლი „ნაცარქექიას“ პრემიერა და ჩვენება, ბავშვთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ანიმაციური ფილმების ჩვენება. კულტურის ცენტრი ცდილობს შინაარსიანად და შედეგიანად წარმართოს მისი შემდგომი საქმიანობა.

კულტურის ცენტრის მიერ გამოწვეულია სხვადასხვა სახის ჟურნალ-გაზეთები. შექმნილიქნა ახალი მხატვრული, საბავშვო და სხვადასხვა სახის ლიტერატურა. ღონისძიების ხარჯებისთვის 9 თვეში დაგეგმილი იყო 33700 ლარი, გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 324 09 ლარი. ცხრა თვის განმავლობაში ჩატარდა შემდეგი სახის ღონისძიებები: დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი საღამო, ცხრა აპრილს დაღუპულთა სსოფინსადმი მიძღვნილი რეკვიემი, ცხრა მაისის დონისძიება, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი გალაკონცერტი, საერთა-საეკლესიო ღონისძიება „ცოტნეობა 2014“ საბავშვო სპექტაკლი „ნაცარქექიას“ პრემიერა და ჩვენება, ბავშვთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ანიმაციური ფილმების ჩვენება. კულტურის ცენტრი ცდილობს შინაარსიანად და შედეგიანად წარმართოს მისი შემდგომი საქმიანობა.

ბეჟან ნადარაია

ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრი მიზნად ისახავს ფორმალური სახელობა-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას შრომის ბაზარზე ორიენტირებულ, კონკურენტუნარიანი, მოთხოვნადი სპეციალისტების მომზადება-გადამზადებას, თანამედროვე პროფესიული ცოდნისა და მეთოდების გავრცელებას. ცენტრი ზრუნავს შე-

თვის მონაცემებით გახარჯულია: შრომის ანაზღაურების მუხლში 50202 ლარი. საქონელი და მომსახურების მუხლში 6660, 35 ლარი. ფასიანი ჯგუფებიდან შემოსულმა თანხამ ცხრა თვის განმავლობაში 3510 ლარი, რომელიც უზრუნველყოფს მსმენელების ტრანსპორტირებას ხობიდან სასწავლებლამდე, რაც ძალიან გვიწყობს ხელს მუშაობაში. მსმენელთა ტრან-

მოწვეულ სტუმრებს შორის დიდი მოწონება დაიმსახურა. ცხრა თვის განმავლობაში პროფესიული სწავლების ცენტრის სხვადასხვა სახელობა ჯგუფებში გადამზადდა 331 მსმენელი, მათ შორის არასაბიუჯეტო ჯგუფებში-55 მსმენელი, რომლებზედაც გაცემულია სათანადო სერთიფიკატი. სამომავლოდ დაგეგმილი გვაქვს ელვაყვავი-

წინგადგმული ნაბიჯი

დულული შესაძლებლობის მქონე პირთათვის (ინკლუზიური სწავლება), პრობაციონერთათვის სათანადო სასწავლო პირობების შექმნაზე. ცენტრს ემსახურება 25 თანამშრომელი, რომელთაც გააჩნიათ სათანადო ცოდნა და გამოცდილება შესაბამის სახელობა ჯგუფებში ასწავლონ როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ნაწილი. პროფესიული სწავლების ცენტრში ფუნქციონირებს თერთმეტი სახელობა ჯგუფი. მ/შ სამი : „ბც“ კატეგორიის მძღოლი, „ბ“ კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მძღოლი და „ტ“ კატეგორიის მექანიკის ფასიანი, ხოლო დანარჩენი რვა: მანქანის ხელოსანი, პერსონალური კომპიუტერის მომხმარებელი-ოპერატორი, ქალისა და მამაკაცის სტილისტი, თექვის დამუშავება, მომპირკეთებელი (მეფილე), მდივან-რეფერენტი, უცხო ენა (ინგლისური), ქართული ფარდაგი გობელენის სამთვიანი გადასამზადებელი უფასო ჯგუფები.

სპორტირებისათვის ცხრა თვეში გახარჯულია 2237 ლარი. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასწავლებელ-ლაბორატორიებში, რის საფუძველზეც ვახორციელებთ შესაბამის გადამზადების პროგრამებს, პედაგოგ/ ინსტრუქტორები ხელმძღვანელობენ განსაზღვრული კრედიტ-საათებით, გააჩნიათ სათანადო პროგრამები, სილაბუსები, რომელიც ითვალისწინებს მცირე დროში გარკვეული ცოდნის მიღებას, თეორიისა და პრაქტიკის ერთობლიობით ქმნიან საუკეთესო ნიმუშებს ამ ნიმუშებით აქტიურად ვიღებთ მონაწილეობას, მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში, ვაწყობთ გამოფენებს, ვაწვდით ინფორმაციას ფართო საზოგადოებას ჩვენი სასწავლებლის შესახებ. მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში ვმონაწილეობდით 26 მაისისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, ასევე მივიღეთ მონაწილეობა „ცოტნეობის“ დღესასწაულზე, მოვაწყვეთ ჩვენი ნამუშევრების გამოფენა, თექვის, მინანქრისა და გობელენის ნამუშევრებმა

ნილობის შემონტაჟისა და ბუღალტერ-მონაგარიშის გადამზადების კურსის გახსნა. გამომდინარე იქიდან, რომ მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფელში ელმონტორის ღეფიცია, ამავდროულად, მოთხოვნადია. აუცილებლად მიგვაჩნია ამ მიმართულებით გადამზადების კურსის გახსნა, რისთვისაც შემუშავებული გვაქვს 3 თვიანი სასწავლო პროგრამა, გვეგვაყოფს მუნიციპალიტეტის ყველა სოფლის ჩართვას ამ პროგრამაში. ასევე მოთხოვნადია ბუღალტრული კურსების გავლა, რომელიც ასევე მოთხოვნადია ამ კუთხითაც ვმუშაობთ და ვამზადებთ შესაბამის პროგრამას, რომელიც შეთანხმებული იქნება ადგილობრივი თვითმმართველობასთან. ეს კიდევ ერთი, წინგადგმული ნაბიჯი იქნება ჩვენი პროფესიული სწავლების ცენტრის მხრიდან, რათა ხელი შევუწყოთ აღნიშნულ სპეციალობებში დაინტერესებულ პირებს უფრო მიუახლოვდნენ თანამედროვე მოთხოვნებს და ცოდნა გაიღრმავონ.

ნორა იოსავა.

დოკუმენტი

სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N38

2014 წლის 21 ნოემბერი ქ. ხობი

სობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 და 25-ე მუხლების, „საჯარო მოხელეთა ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N411 დადგენილების და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N412 დადგენილების შესაბამისად, სობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს თანდართული „სობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის საქმიანობის წესი“.

მუხლი 2.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 მაისის N11 დადგენილება.

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე. საკრებულოს თავმჯდომარე ედმეო ჯობაძე

დანართი

სობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის საქმიანობის წესი

თაპი I.

ზოგადი დებულება

მუხლი 1. წესის გამოყენების სფერო

1. ეს წესი აწესრიგებს სობის მუნიციპალიტეტის გამგეობასა (შემდგომში - „გამგეობა“) და სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში (შემდგომში - „საკრებულოს აპარატი“) ვაკანტურ საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად ჩასატარებელი კონკურსის (შემდგომში - „კონკურსი“) და გამგეობის და საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა ატესტაციის (შემდგომში - „ატესტაცია“) პროცესს. 2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნებისთვის სობის მუნიციპალიტეტში იქმნება სობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართვე-

ლობის მოხელეთა მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისია (შემდგომში - „კომისია“), რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესის საფუძველზე.

მუხლი 2. კონკურსის და ატესტაციის პრინციპები:

კონკურსის და ატესტაციის პრინციპებია:

ა) კანონიერება - კონკურსის ან/და ატესტაციის პროცესი უნდა წარიმართოს ამ წესის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საჯარო მოხელეთა ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N411 დადგენილების, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N412 დადგენილების და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად;

ბ) სამართლიანობა - კონკურსის ან/და ატესტაციის პროცესში გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს დამკვიდრებული სამართლებრივი პრინციპების შესაბამისად;

გ) საჯაროობა - კონკურსის ან/და ატესტაციის პროცედურასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები, კომისიის სხდომის ოქმები და კონკურსის შედეგები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისთვის;

დ) გამჭვირვალობა - გამოყენებული პროცედურები, მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს ნათლად ფორმირებული, გასაგები და აღქმადი ყველა პრეტენდენტისთვის;

ე) არადისკრიმინაციულობა - კონკურსის ან/და ატესტაციის პროცედურები უნდა უზრუნველყოფდეს პირთა თანასწორობას განურჩევლად რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნი-

ლების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ან სხვა ნიშნისა;

ვ) ობიექტურობა - კონკურსის ან/და ატესტაციის პროცედურები უნდა იყოს არადისკრიმინაციული და მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს სუბიექტური ან პიროვნული ნიშნით გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა;

ზ) მიუკერძოებლობა - კონკურსის ან/და ატესტაციის პროცესში ყველა გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს სამართლიანი და ობიექტური შეფასებით. დაუშვებელია უპირატესობის მინიჭება არაკეთილსინდისიერად, კონკურსის ან/და ატესტაციის პრინციპების უგულვებელყოფის გზით;

თ) კოლეგურობა - კონკურსის ან/და ატესტაციის ეტაპები უნდა ჩატარდეს და შედეგები უნდა დამტკიცდეს კომისიის მიერ;

ი) კორექტულობა - კონკურსის ან/და ატესტაციის ჩატარების ფორმები და მეთოდები, დასმული შეკითხვები უნდა იყოს კორექტული, არ უნდა ისახავდეს მიზნად პირის შეურაცხყოფას. კომისია უნდა იყოს კეთილგანწყობილი და არ ახდენდეს კანდიდატზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას.

თავი II. კომისია

მუხლი 3. კომისიის მიზანი და ფუნქციები

1. კომისიის საქმიანობის მიზანია დასაკავებელი თანამდებობის აღმსრულებლის კანდიდატის ან დასაკავებელი თანამდებობის აღმსრულებლის მოთხოვნების შეფასება.

2. კომისიის ფუნქციებია:

ა) კონკურსის და ატესტაციის ამ წესით დადგენილი ნორმების დაცვით ჩატარება;

ბ) პირის პროფესიული ცოდნის, ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობების და პიროვნული თვისებების შესაფასებელი პროცედურების წარმართვა;

გ) კონკურსის შედეგების მიხედვით, ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად კანდიდატის წარდგენა ან წარდგენაზე უარის თქმა;

დ) თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირისთვის კანდიდატის ან/და ატესტაციის დაქვემდებარებული მოხელის შეფასების თაობაზე დასკვნის წარდგენა;

ე) კონკურსის და ატესტაციის ჩატარებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრა.

მუხლი 4. კომისიის შემადგენლობა

1. კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და წევრები.

2. კომისიის თავმჯდომარეს ნიშნავს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო (შემდგომში - „საკრებულო“).

კომისიის თავმჯდომარე:

ა) იწვევს და თავმჯდომარეობს კომისიის სხდომებს;

ბ) ანაწილებს ფუნქციებს კომისიის წევრთა შორის;

გ) კომისიის წევრებთან შეთანხმებით განსაზღვრავს საკითხთა განხილვის თანმიმდევრობას;

დ) ხელს აწერს კომისიის გადაწყვეტილებებს, სხდომის ოქმებს და სხვა ოფიციალურ დოკუმენტაციას;

ე) საქართველოს კანონმდებლობით და ამ წესით დადგენილ შემთხვევებში გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს - კომისიის თავმჯდომარის ბრძანებას.

3. კომისიის წევრთა რაოდენობას და შემადგენლობას განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე აუცილებელი საჭიროების გათვალისწინებით.

4. კომისიის შემადგენლობაში შედიან მოხელეთა პროფესიული კავშირის წევრები და დამოუკიდებელი სპეციალისტები.

5. დამოუკიდებელი სპეციალისტი არ შეიძლება სამსახურებრივად დაკავშირებული იყოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ან აღმასრულებელ ორგანოებთან.

6. კომისიის შემადგენლობაში, შესაძლებელია, მონაწილეობდნენ ადამიანური რესურსების მართვისთვის პასუხისმგებელი პირები.

7. კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრთაგან ნიშნავს კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს, რომელიც ცვლის კომისიის თავმჯდომარეს მისი არყოფნის შემთხვევაში.

8. პირი არ შეიძლება იყოს იმ კომისიის წევრი, რომელმაც უნდა მონაწილეობდნენ მონაწილეობის მისი შერჩევა კონკურსის შემთხვევაში ან/და შეფასება ატესტაციის შემთხვევაში.

9. კომისიის შემადგენლობის შესახებ ინფორმაცია საჯაროა.

10. კომისიის მოწვეულ წევრთა შორის შესაძლებელია ანაზღაურდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მისი ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მუნიციპალიტეტის მოხელეთა შრომის ანაზღაურების საშუალო თვიურ ოდენობას.

11. კომისიის წევრი ვალდებულია, კონკურსის ან/და ატესტაციის დაწყებამდე წინასწარ განაცხადოს ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს კანდიდატის ან/და ატესტაციის დაქვემდებარებული პირის ობიექტურად შეფასებასა და მის მიმართ გადაწყვეტილების მიუკერძოებლად გამოტანაში. ასეთ შემთხვევაში კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს თვითაც. ის, შესაბამისად, ვერ მიიღებს მონაწილეობაზე წარდგენილი კანდიდატების ან ატესტაციის დაქვემდებარებული პირების შეფასებასა და მათ მიმართ გადაწყვეტილების მიღებაში. იმ შემთხვევაში, თუ კომისიის წევრი არ განაცხადებს დასახელებული გარემოების არსებობის შესახებ, ხოლო აღნიშნული კომისიისთვის ცნობილი გახდება კონკურსის ან/და ატესტაციის მიმდინარეობისას, კომისიის შესაბამისი წევრის მიერ გაკეთებული შეფასებები არ იქნება

გათვალისწინებული საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

მუხლი 5. კომისიის სპეციალიზებული შემადგენლობა

1. პროფესიული პრინციპის მიხედვით, კომისია შეიძლება დაკომპლექტდეს სპეციალიზებული შემადგენლობით.

2. კომისიის სპეციალიზებულ შემადგენლობას ქმნის და მის თავმჯდომარეს ნიშნავს კომისიის თავმჯდომარე.

3. სპეციალიზებული კომისიის საქმიანობა ხორციელდება ამ წესით განსაზღვრული პრინციპებით და პროცედურებით.

მუხლი 6. კომისიის მუშაობის წესი

1. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ სამი წევრისა.

2. კომისიის სხდომას უძღვება და ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ან მისი არყოფნისას - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

3. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, დამსწრე კომისიის წევრთა უბრალო უმრავლესობით. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადაწყვეტა სხდომის თავმჯდომარის ხმა.

4. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და დამსწრე კომისიის წევრები.

5. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ღვინდება მარეგულირებელი ნორმები, წესები, პროცედურები და მსგავსი პირობები, გადაწყვეტილება გამოიცემა ცალკე დოკუმენტად, კოლეგური ორგანოს სამართლებრივი აქტისთვის დადგენილი წესით.

6. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

7. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება სიღებ კომისიის თავმჯდომარე, რაც ფორმდება კომისიის თავმჯდომარის ბრძანებით.

8. კომისიას გააჩნია ბუჭილი, შტამპი, სატიტულო ფურცელი, კომისიის სამართლებრივი აქტისა და კომისიის თავმჯდომარის სამართლებრივი აქტის ბლანკი, რომელთა ფორმის ნიმუშებს ამტკიცებს კომისია.

მუხლი 7. საპრეტენზიო კომისია

1. კონკურსის ან/და ატესტაციის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით იქმნება საპრეტენზიო კომისია.

2. საპრეტენზიო კომისიის წევრთა რაოდენობას და შემადგენლობას განსაზღვრავს და ამტკიცებს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა (შემდგომში - „გამგეობა“), ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან (შემდგომში - „საკრებულოს თავმჯდომარე“) შეთანხმებით.

3. საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის

7

თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები (მათ შორის მოწვეულები). კომისიის წევრი, რომელიც მონაწილეობდა კონკურსის ან/და ატესტაციის რომელიმე ეტაპის ჩატარებაში, არ შეიძლება იყოს საპრეტენზიო კომისიაში.

4. საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

5. საპრეტენზიო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.

6. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტად ითვლება სხდომის თავმჯდომარის ხმა.

7. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ საპრეტენზიო კომისიის სხდომის თავმჯდომარე და დამსწრე კომისიის წევრები.

8. საპრეტენზიო კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

9. პირს საპრეტენზიო კომისიის საბოლოო მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ წერილობითი ფორმით, კონკურსის ან/და ატესტაციის შედეგების (მის მიმართ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილება) გამოცხადებიდან (გადაწყვეტილების ჩაბარებიდან –წერილობით გაგზავნის შემთხვევაში და გაგზავნიდან – გადაწყვეტილების ელექტრონული ფოსტით გაგზავნის შემთხვევაში) არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.

საპრეტენზიო კომისიის სახელზე შეტანილი განცხადება განიხილება არაუმეტეს 3 სამუშაო დღეში. მიღებული გადაწყვეტილება აისახება ოქმში და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება კომისიას.

10. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კომისია საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილების გათვალისწინებით. კომისიას უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს გაფართოებული სხდომა საპრეტენზიო კომისიის წევრთა მონაწილეობით.

მუხლი 8. კომისიის სამდივნო

1. კომისიის მუშაობის ეფექტურად წარმართვისა და მისი საქმიანობის ორგანიზაციული, საინფორმაციო და სამართლებრივი უზრუნველყოფის მიზნით, კომისიის თავმჯდომარე ქმნის კომისიის სამდივნოს (შემდგომში - „სამდივნო“).

2. სამდივნო:

- ა) უზრუნველყოფს საკონკურსო/საატესტაციო დოკუმენტაციის მიღებას, რეგისტრაციას და მათ დამუშავებას;
- ბ) ამოწმებს საკონკურსო/საატესტაციო დოკუმენტაციის სისრულეს და მის შესაბამისობას საკონკურსო/საატესტაციო

მოთხოვნებთან, ახდენს მიღებული დოკუმენტაციის სისწორის შემოწმებასა და გადამოწმებას;

გ) უზრუნველყოფს კომისიაში შემოსული კორექტივების აღრიცხვას და სათანადო ელექტრონულ მონაცემთა ბაზის შექმნას.

დ) უზრუნველყოფს კომისიის წევრთა გაფრთხილებას კომისიის სხდომის ჩატარების ადგილისა და დროის შესახებ; ორგანიზებას უწევს კომისიის სხდომის დარბაზის მოწყობას, მასალების გამრავლებას და დარიგებას, კომისიის სხდომის ოქმის შედგენას;

ე) ახდენს კანდიდატთა რეგისტრაციას;

ვ) უზრუნველყოფს წერილი დავალების, ტესტირებისა და გასაუბრების გავლის ორგანიზებას და კომისიის მიერ განსაზღვრულ სამუშაოთა შესრულებას;

ზ) უზრუნველყოფს კომისიის გადაწყვეტილებითა და კომისიის თავმჯდომარის ბრძანებით განსაზღვრულ დავალებათა შესრულებას.

3. სამდივნოს შემადგენლობას განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე. სამდივნოს საქმიანობას ხელმძღვანელობს სამდივნოს უფროსი, რომელსაც ნიშნავს კომისიის თავმჯდომარე.

4. სამდივნოს უფროსი პასუხისმგებელია სამდივნოს საქმიანობაზე, კომისიის თავმჯდომარის წინაშე.

5. კონკურსის ან ატესტაციის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ სამდივნო წვეტს საქმიანობას.

თავი III. კონკურსი
მუხლი 9. კონკურსი

1. კონკურსი არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კანდიდატის შესაბამისობის დადგენა ვაკანტური თანამდებობისთვის დადგენილ მოთხოვნებთან.

2. კონკურსის მიზანია ვაკანტური თანამდებობისთვის დადგენილ მოთხოვნათა გათვალისწინებით შესაბამისი კანდიდატის შერჩევა.

3. კონკურსის ამოცანებია:

- ა) საქართველოს მოქალაქეთათვის ვაკანტურ თანამდებობათა თანაბრად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- ბ) ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატების შერჩევის და მათი თანამდებობებზე დანიშვნის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
- გ) კონკურსში მონაწილე კანდიდატების კვალიფიკაციის, პროფესიული დონის, ცოდნის, პიროვნული თვისებების, მოტივაციის და უნარ-ჩვევების შეფასება;
- დ) შერჩეული კანდიდატების ვაკანტური თანამდებობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დონის განსაზღვრა.

მუხლი 10. კონკურსის გამოცხადება

1. კონკურსი ცხადდება, მხოლოდ, ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის თანამდებობა ვაკანტურად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ:

- ა) ამ თანამდებობაზე დანიშნულია თანამდებობაზე კონკურსის წესით დასანიშნი მოხელის მო-

ვალეობის შემსრულებელი;

ბ) არსებობს თანამდებობის ვაკანტურად გამოცხადების დადასტურებული საფუძველი.

3. კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს:

- ა) გამგებელი - გამგეობაში არსებულ ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად;
 - ბ) საკრებულოს თავმჯდომარე-საკრებულოს აპარატში არსებულ ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე გამოცემული აქტის შესაბამისად კომისია უზრუნველყოფს ვაკანტური თანამდებობისთვის შეტყობინების მოზადებას და გამოქვეყნებას საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ აღმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით.

5. კონკურსის გამოცხადების შესახებ შეტყობინებაში მიეთითება:

- ა) დამსაქმებელი - დაწესებულება, რომელიც აცხადებს კონკურსს;
- ბ) თანამდებობის დასახელება - რომელ თანამდებობაზე ცხადდება კონკურსი;
- გ) თანამდებობრივი სარგოს ოდენობა;
- დ) სამსახურის ადგილმდებარეობა - მიეთითება სამუშაო ადგილის მისამართი;
- ე) სამუშაოს ტიპი - მიეთითება სამუშაო სრულდება სრულ განაკვეთზე თუ არა;
- ვ) განცხადების და სხვა აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენის ბოლო ვადა;
- ზ) გამოსაცდელი ვადა - მიეთითება გამოცდელი ვადა არა უმეტეს 6 თვე (მისი დაწესების შემთხვევაში);

თ) სამუშაოს აღწერა - მიეთითება ამ თანამდებობისთვის დამატებითი სამუშაოთა აღწერით გათვალისწინებული ის ძირითადი სამუშაოები, რომლის შესრულებაც მოუწევს ამ თანამდებობის პირს;

ი) მოთხოვნები - მიეთითება თანამდებობისთვის დაწესებული მოთხოვნები: მინიმალური განათლება, პროფესია (სპეციალობა), ასაკი, თანამდებობრივ მოვალეობათა შესრულებისათვის სავალდებულო სამართლებრივი აქტების ცოდნა;

კ) დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელიც უნდა იქნეს წარდგენილი კონკურსში მონაწილეობის მიღებისათვის (განცხადება, რეზიუმე, Curriculum Vitae (CV), განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობის ასლი, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და ა.შ.);

ლ) მოთხოვნა კომპიუტერული პროგრამებისა და ოპერაციული სისტემების ცოდნაზე - თანამდებობის მოვალეობათა შესრულებისათვის აუცილებელი კომპიუტერული პროგრამებისა და ოპერაციული სისტემების ჩამონათვალი;

- მ) დამატებითი მოთხოვნები, როგორცაა მოთხოვნა შრომის სტაჟზე, სპეციალობით მუშაობის გამოცდილებაზე, უცხო ენების ცოდნაზე, პირად უნარებზე და ა.შ.;
- ნ) კონკურსის ეტაპები - მიეთითება თუ რამდენ ეტაპად და რა ფორმების გამოყენებით ტარდება კონკურსი;

ო) კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა - მიეთითება თუ რა ფორმით დადგინდება საკონკურსო-საატესტაციო კომისია გადაწყვეტილებას (ხმების უმრავლესობით თუ ქულათა სისტემით) და რა ვადაში უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილება;

პ) კომისიის მისამართი;

ჟ) საკონტაქტო ინფორმაცია - მისამართი, ტელეფონი, საკონტაქტო პირი.

6. კონკურსის გამოცხადების ხარჯები ანაზღაურდება სობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

მუხლი 11. კონკურსში მონაწილეობისთვის განცხადების წარდგენა

1. კონკურსში მონაწილეობისთვის განცხადების წარდგენა შეიძლება მხოლოდ ელექტრონული ფორმით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ აღმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით.

2. შეტყობინების გამოქვეყნებიდან კანდიდატს ეძლევა არანაკლებ ათ დღიანი ვადა განცხადების წარსადგენად.

3. კანდიდატს შეუძლია განცხადებაში შეიტანოს ცვლილება განცხადების წარდგენისთვის განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე.

4. კანდიდატს უფლება აქვს ერთი კონკრეტული უწყების (საკრებულო, გამგეობა) მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის თაობაზე განცხადება წარადგინოს ერთდროულად არაუმეტეს სხუთ ვაკანსიაზე.

მუხლი 12. კონკურსში მონაწილეობის უფლების მქონე პირი

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს:

- ა) საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს;
- ბ) პირს, რომელიც ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას;
- გ) 18 წლის ასაკს მიღწეულ პირს;

მუხლი 13. კონკურსის ჩატარების ეტაპები და პროცედურა

1. კონკურსს ატარებს კომისია.

2. კონკურსი შესაძლებელია მოიცავდეს შემდეგ ეტაპებს:

- ა) განცხადების გადარჩევა;
 - ბ) წერილი დავალება;
 - გ) ტესტირება;
 - დ) გასაუბრება.
3. კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება გამოყენებული იქნეს კონკურსის ჩატარების ერთი, რამოდენიმე ან ყველა ფორმა.
4. კონკურსის პროგრამას, პირობებსა და ჩატარების გრაფიკს განსაზღვრავს კომისია ამ წესის მე-10 მუხლის შესაბამის პუნქტით განსაზღვრულ შესაბამის თანამდებობის პირთან (პირებთან) შეთანხმებით.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული ინფორმაციის საჯაროობას უზრუნველყოფს კომისიის თავმჯდომარე.

მუხლი 14. განცხადების გადარჩევა

1. განცხადების გადარჩევა წარ-

მოადგენს პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას წარდგენილი დოკუმენტების მიხედვით და სავალდებულო დოკუმენტაციის სრულად წარდგენის შემოწმებას.

2. კომისიის დავალებით და მასთან შეთანხმებით, შესაძლებელია, განცხადებების გადარჩევა უზრუნველყოს სამდივნომ, რაც მოწმდება და დასტურდება კომისიის სხდომის ოქმით და კომისიის წევრების ხელმოწერით.

მუხლი 15. წერილი დავალება

1. წერილი დავალება გულისხმობს კანდიდატის მიერ წერილი ნამუშევრის შესრულებას, წარდგენას და დაცვას კომისიის მიერ განსაზღვრულ თემაზე.

2. წერილი დავალება შეიძლება ჩატარდეს თავისუფალი ფორმით. წერილი დავალება შეიძლება მოიცავდეს როგორც ზოგადი უნარ-ჩვევების, ასევე პროფესიულ საკითხებს.

3. წერილი დავალების ფორმას, შეფასების კრიტერიუმებს და აუცილებელ ქულათა მინიმალურ ზღვრულ ოდენობას კონკურსის გამოცხადებისთანავე ადგენს და ამტკიცებს კომისია.

4. დადებითი შეფასების მისაღებად და შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად კანდიდატმა უნდა დააგროვოს კომისიის მიერ დადგენილი აუცილებელ ქულათა რაოდენობა (მინიმალური ზღვარი).

მუხლი 16. ტესტირება

1. ტესტირება წარმოადგენს კანდიდატთა პროფესიული ცოდნის დონისა და უნარების შემოწმებას ტესტირების მეშვეობით.

2. ტესტირება ტარდება ელექტრონულად, შესაბამისი კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით.

3. ტესტირების ჩატარებისა და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ატესტაციის ტესტირების ეტაპების ჩატარების მეთოდიკის, თემატიკისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2014 წლის 10 სექტემბრის №73/სა ბრძანებით.

4. დადებითი შეფასების მისაღებად და შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად კანდიდატმა უნდა დააგროვოს კომისიის მიერ დადგენილი აუცილებელ ქულათა რაოდენობა (მინიმალური ზღვარი).

5. ტესტირების ჩატარებას, მუნიციპალიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“.

მუხლი 17. გასაუბრება

1. გასაუბრება წარმოადგენს კანდიდატის ზეპირ გამოცდას, რომელიც ტარდება კომისიის მიერ კანდიდატის პირადი და პრაქტიკული უნარჩვევების დადგენის მიზნით.

დოკუმენტი

8

2. კომისიამ კანდიდატებთან გასაუბრებისას უნდა გამოიყენოს წინასწარ შემუშავებული კითხვარი, რომელიც საშუალებას მისცემს, მიიღოს ინფორმაცია კანდიდატის უნარ-ჩვევებზე, პროფესიულ კვალიფიკაციასა და გამოცდილებაზე, რომელიც საჭიროა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

3. კითხვები შეიძლება დაისვას განსაზღვრული თანმიმდევრობით. შესაძლებელია დამატებითი კითხვების დასმა განსაზღვრული საკითხების ირგვლივ, რაც დამოკიდებულია კანდიდატის მიერ გაცემულ პასუხებზე.

მუხლი 18. კონკურსის შედეგები

1. კომისია, კანდიდატების მიერ თითოეული ეტაპის გავლის შემდეგ, სხდომაზე განიხილავს საკითხს მათ დაუსწრებლად.

2. კომისია აფასებს კანდიდატის შესაბამისობას ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნებთან, აუცილებლობის შემთხვევაში ისმენს აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირის აზრს.

3. კონკურსის შედეგების მიხედვით ქულათა სისტემით ან კომისიის წევრთა ინდივიდუალური შეფასებებით, კომისია თითოეულ ვაკანტურ თანამდებობასთან დაკავშირებით იღებს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:

ა) დასანიშნად წარადგენს ერთ კანდიდატს;

ბ) უარს აცხადებს კანდიდატის წარდგენაზე.

4. კომისიის თავმჯდომარე ან კომისიის სხვა უფლებამოსილი პირი, გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 5 (ხუთი) დღისა, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით აცნობებს ყოველ კანდიდატს მის მიმართ გამოტანილ გადაწყვეტილებას, ხოლო თანამდებობაზე დანიშნულ პირს - კომისიის მიერ წამოყენებული კანდიდატის ან კანდიდატის წამოყენებაზე უარის შესახებ.

5. კომისია ვალდებულია, საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ კომისიის მიერ წინასწარ განსაზღვრულია უფრო მცირე ვადა, კომისია უფლებამოსილია გაზარდოს იგი ვადის ამოწურვამდე. ასეთ შემთხვევაში, თავდაპირველად განსაზღვრული და გაზრდილი ვადის ვადაში არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს.

6. კომისია, კონკურსის დასრულებიდან (გადაწყვეტილების მიღებიდან) ერთ კვირაში, საჯარო სამსახურის ბიუროში წარადგენს ინფორმაციას ჩატარებული კონკურსის შესახებ: ვაკანტური თანამდებობების დასახელების, შესული განცხადებების რაოდენობის, კონკურსის ეტაპების, პროცედურების და კონკურსის შედეგების მითითებით.

მუხლი 19. კონკურსის შედეგების გასაჩივრება

კონკურსატს უფლება აქვს, კონკურსის შედეგები გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში,

ხოლო შემდეგ - სასამართლოში, ან არ გამოიყენოს საპრეტენზიო კომისიისადმი მიმართვის უფლება და კონკურსის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული საჩივარი წარადგინოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლოში.

მუხლი 20. კონკურსის ჩამოშლის შემთხვევების საფუძვლები

კონკურსი ჩამოშლად ცხადდება:

ა) თუ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად არ იქნა წარმოდგენილი არც ერთი განცხადება;

ბ) თუ კონკრეტული ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილე ვერცერთმა კანდიდატმა ვერ გადალახა დადგენილი მინიმალური ზღვარი;

გ) თუ კომისიამ უარი განაცხადა თანამდებობაზე დასანიშნად კანდიდატის წარდგენაზე;

მუხლი 21. კონკურსის ჩამოშლის შემთხვევების შედეგები

კონკურსის ჩამოშლის შესახებ კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 10 დღისა ამ წესის მე-10 მუხლის შესაბამისი თანამდებობის პირი (პირები) იღებს (იღებენ) გადაწყვეტილებას ახალი კონკურსის გამოცხადებისა და მისი ვადების შესახებ.

თავი IV. მოხელის ატესტაცია

მუხლი 22. ატესტაცია

1. ატესტაცია არის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოხელის სამსახურებრივი საქმიანობის, პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პირობების შეფასება დაკავებული თანამდებობის მოთხოვნებთან.

2. ატესტაციის მიზანია:

ა) მოხელის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პირობების შეფასების შესაბამისობის განსაზღვრა დაკავებული თანამდებობის მოთხოვნებთან;

ბ) მოხელის მიერ საატესტაციო პერიოდში შესრულებული პროფესიული სამსახურებრივი საქმიანობის შეფასება;

გ) საკლასო ჩინისა და სპეციალური წოდების მიწიჭებასა ან ჩამორთმევასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება;

დ) მოხელის პროფესიული დონის გამოყენების პერსპექტივების განსაზღვრა;

ე) მოხელის კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული მომზადების ან გადამზადების საჭიროების დადგენა;

ვ) მოხელეთა კარიერის დაგეგმვა და მართვა.

მუხლი 23. ატესტაციის დაქვემდებარებული პირი

1. ატესტაციის დაქვემდებარება;

ა) მოხელე 3 წელიწადში ერთხელ (საატესტაციო პერიოდში);

ბ) კანდიდატი მოხელის თანამდებობაზე, თუ თანამდებობა კონკურსის წესით უნდა დაიკავოს.

2. ატესტაციას არ ექვემდებარება მოხელე, რომელიც სამსახურში მიიღება განსაზღვრული ვადით.

3. მოხელე, რომელიც საატესტაციო პერიოდის უკანასკნელი წლის მანძილზე სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა 6 (ექვსი) თვეზე ნაკლები ვადით, ექვემდებარება მომავალ წელს ატესტაციას.

4. მოხელე, რომელსაც უფლებამოსილება შენერებული აქვს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ატესტაციას გადის შემდგომ წელს.

მუხლი 24. ატესტაციის ჩატარების ეტაპები

1. ატესტაცია შედგება სამი ეტაპისგან:

ა) მოსამზადებელი ეტაპი;

ბ) ძირითადი ეტაპი;

გ) დასკვნითი ეტაპი.

2. ატესტაციის მოსამზადებელი ეტაპი მოიცავს:

ა) საკრებულოს მიერ კომისიის თავმჯდომარის დანიშვნას (თუ კომისიის თავმჯდომარე არ არის დანიშნული);

ბ) კომისიის თავმჯდომარის მიერ კომისიის შემადგენლობის დამტკიცებას (თუ კომისიის შემადგენლობა არ არის დამტკიცებული);

გ) ატესტაციის ჩატარების გრაფიკის დამტკიცებას;

დ) ატესტაციას დაქვემდებარებულ მოხელეთა სიის შედგენას;

ე) ატესტაციას დაქვემდებარებულ მოხელეებზე საატესტაციო დოკუმენტაციის მომზადებას;

ვ) წარმოდგენილ მასალებზე მოხელეთა განცხადებების განხილვას;

ზ) კომისიის მიერ წარმოდგენილი მასალების ანალიზს.

3. ატესტაციის ძირითადი ეტაპი გულისხმობს:

ა) მოხელეთა კვალიფიკაციის დონის შემოწმებას ტესტირების, წერითი და ვალების ან/და გასაუბრების ფორმების გამოყენებით;

ბ) კომისიის მიერ მოხელეთა კვალიფიკაციის შემოწმებით მიღებული შედეგების ანალიზს.

4. დასკვნითი ეტაპი მოიცავს:

ა) საატესტაციო კომისიის მიერ, მოხელესათვის მოსამზადებელ და ძირითად ეტაპზე მიღებული შეფასების გაცნობას და დაზუსტებას, მოხელის და საჭიროების შემთხვევაში მოხელის უშუალო უფროსის განმარტებების მოსმენას;

ბ) მოხელის მიერ ატესტაციის გავლის შედეგების შეჯამებას, გადაწყვეტილების მიღებას მოხელის კვალიფიკაციის შესაბამისობის შესახებ მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან; შესაბამისი დასკვნისა და რეკომენდაციების მომზადებას;

გ) კომისიის დასკვნის მომზადებას ატესტაციის შედეგების და გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ.

მუხლი 25. ატესტაციის ჩატარების დრო

1. ატესტაციის ჩატარების დროს კომისიის თავმჯდომარესთან შე-

თანხმებით განსაზღვრავს:

ა) გამგებელი-გამგებობის მოხელეთათვის ჩასატარებელი ატესტაციისას;

ბ) საკრებულოს თავმჯდომარე-საკრებულოს აპარატის მოხელეთათვის ჩასატარებელი ატესტაციისას.

2. ატესტაციას დაქვემდებარებულ მოხელეთა სიას და ატესტაციის ჩატარების გრაფიკს კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს (ამტკიცებენ) ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შესაბამისი თანამდებობის პირი (პირები).

3. ატესტაციის ჩატარების გრაფიკში მიეთითება:

ა) სტრუქტურული ერთეულის (ქვედანაყოფის) დასახელება, სადაც ტარდება ატესტაცია;

ბ) ატესტაციის თითოეული ეტაპის ჩატარების დღე და საათი;

გ) კომისიისთვის ატესტაციის ჩატარებისთვის საჭირო დოკუმენტაციის ჩაბარების ვადა, ამ დოკუმენტაციის შედგენასა და ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირის მითითება;

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას ამზადებს და კომისიას წარუდგენს:

ა) გამგებობის ადმინისტრაციული სამსახური-გამგებობის მოხელეთათვის ჩასატარებელი ატესტაციისთვის;

ბ) საკრებულოს აპარატი - საკრებულოს აპარატის მოხელეთათვის ჩასატარებელი ატესტაციისთვის.

5. ატესტაციის გრაფიკი, ინფორმაცია ატესტაციის ჩატარების პრინციპების, პროცედურების, ფორმებისა და პირობების შესახებ, ასევე, კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი და ფორმა ატესტაციას დაქვემდებარებულ პირს და საჯარო სამსახურის ბიუროს უნდა ეცნობოს ატესტაციის დაწყებამდე ორი კვირით ადრე მაინც.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნული ინფორმაციის საჯაროობას უზრუნველყოფს კომისიის თავმჯდომარე.

მუხლი 26. ატესტაციის ჩატარებისთვის მოსამზადებელი დოკუმენტაცია

1. მოხელეთა ატესტაციისთვის აუცილებელი დოკუმენტებს წარმოადგენს:

ა) ატესტაციას დაქვემდებარებულ მოხელეთა სია;

ბ) ატესტაციას დაქვემდებარებულ თითოეულ მოხელეზე შედგენილი საატესტაციო ფურცელი;

გ) ატესტაციას დაქვემდებარებულ თითოეულ მოხელეზე, მათი უშუალო ხელმძღვანელის მიერ შედგენილი სამსახურებრივი დახასიათება;

დ) ატესტაციას დაქვემდებარებული თითოეული მოხელის თანამდებობრივი ინსტრუქცია (სამუშაოთა აღწერილობა);

ე) მოხელის მიერ განვლილი ატესტაციის შედეგები.

2. ატესტაციის პროცესის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, ატესტაციის დაქვემდებარებული მოხელის უშუალო ხელმძღვანელი ამ მუხლის მე-4 პუნქტით გან-

საზღვრული შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს წარუდგენს ატესტაციის დაქვემდებარებული მოხელის დახასიათებას კომისიის მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით. წინასწარ განსაზღვრულ ფორმას, ავსებს და იმავე სტრუქტურულ ერთეულში წარადგენს ატესტაციის დაქვემდებარებული მოხელეც.

3. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა, კომისიაში დოკუმენტაციის ჩაბარებამდე უნდა გააცნოს ატესტაციის დაქვემდებარებულ მოხელეს მისი სამსახურებრივი დახასიათება, რაც მოხელემ უნდა დაადასტუროს დახასიათების შესაბამის გრაფაში ხელმოწერით, ამავდროულად მას უფლება აქვს მიმართოს კომისიის თავმჯდომარეს სამსახურებრივ დახასიათებაზე დაუთანხმებლობის შემთხვევაში, აგრეთვე წარმოადგინოს დამატებითი ცნობები საატესტაციო პერიოდში მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

4. ატესტაციის ჩატარებისთვის აუცილებელი დოკუმენტაციის მომზადებას უზრუნველყოფს:

ა) გამგებობის ადმინისტრაციული სამსახური-გამგებობის მოხელეთათვის ჩასატარებელი ატესტაციისას;

ბ) საკრებულოს აპარატი - საკრებულოს აპარატის მოხელეთათვის ჩასატარებელი ატესტაციისას.

მუხლი 27. ატესტაციის ჩატარების პროცედურა

1. ატესტაციის ატარებს კომისია.

2. ატესტაცია შეიძლება ჩატარდეს ერთ-ერთი ან რამდენიმე შემდეგი ფორმით:

ა) ტესტირება;

ბ) წერითი დავალება;

გ) გასაუბრება.

3. ატესტაციის ჩატარების ფორმებს, შესაბამისი შეფასების ფორმულარებს, საატესტაციო მეთოდებსა და თემატიკას, მოხელის მიერ დაკავებული თანამდებობის სპეციფიკის გათვალისწინებით, განსაზღვრავს კომისია ამ წესის 25-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ შესაბამის პირობებთან (პირობებთან) შეთანხმებით.

4. გასაუბრების პროცესში, დაკავებულ ან დასაკავებელ თანამდებობასთან ატესტაციის დაქვემდებარებული პირის შესაბამისობის დადგენის მიზნით, კომისია ისმენს მოხელის ანგარიშს საატესტაციო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ, ამოწმებს ატესტაციის დაქვემდებარებული პირის პროფესიულ დონეს და კვალიფიკაციას დადგენილ თემატიკასა და სამსახურებრივ მოვალეობასთან დაკავშირებულ საკითხებში.

5. ატესტაციის დროს მოხელესთან გასაუბრების პროცესს შეიძლება დაესწროს იმ სტრუქტურული ერთეულის (ქვედანაყოფის) ხელმძღვანელი, რომელშიც მოხელე მუშაობს.

6. ატესტაციაზე არასაპატიო

9

მიზეზით მოხელის გამო-უცხადებლობის შემთხვევაში, კომისიის გადაწყვეტილებით იგი იღებს ამ წესის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შეფასებას.

მუხლი 28. მოხელის შეფასება და გადაწყვეტილების მიღება

1. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, ატესტაციას დაქვემდებარებული პირის დაუსწრებლად, დამსწრე კომისიის წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გამამწვევტა კომისიის სხდომის თავმჯდომარის ხმა. საჭიროების შემთხვევაში კომისია ისმენს მოხელისა და მისი უშუალო ხელმძღვანელის განმარტებებს.

2. კომისიის მიერ მოხელის საქმიანობის შეფასება უნდა დაეფუძნოს შემდეგ კრიტერიუმებს:

- ა) კვალიფიკაციის შესაბამისობას მის მიერ დაკავებულ თანამდებობრივ მოთხოვნებთან;
- ბ) მის მონაწილეობას შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის (ქვედანაყოფის) წინაშე არსებული საკითხების გადაწყვეტაში;
- გ) მის მიერ შესრულებულ სამუშაოს სირთულეს და მიღებულ შედეგებს;
- დ) მოხელის პროფესიული ცოდნის დონეს; სამუშაო გამოცდილებას; კვალიფიკაციის ზრდის დონეს;
- ე) პირად საქმიან თვისებებს: ორგანიზაციულ უნარს; ინიციატივის ანობას; ხელმძღვანელობის უნარს; გადაწყვეტილების მიღების უნარს; პუნქტუალობას და პასუხისმგებლობის ადების უნარს; მომთხოვნელობას; შრომისმოყვარეობას; კომუნიკაბელობას; გუნდში მუშაობის უნარს; სამართლიანობას; საქმისადმი ერთგულებას.

3. ატესტაციის შედეგების მიხედვით კომისიას გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი დასკვნა:

- ა) მოხელე შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას და ექვემდებარება დაწინაურებას;
- ბ) მოხელე შეესაბამება დაკავებულ ან დასაკავებელ თანამდებობას;
- გ) მოხელე ნაწილობრივ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას (საჭიროებს კვალიფიკაციის ამაღლებას);
- დ) მოხელე არ შეესაბამება დაკავებულ ან დასაკავებელ თანამდებობას.

4. საჭიროების შემთხვევაში, კომისია იღებს გადაწყვეტილებას და დამნიშნულ პირს წარუდგენს წინადადებას მოხელისათვის საკლასო ჩინის ან სპეციალური წოდების მინიჭების, ან ჩამორთმევის შესახებ.

5. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და კომისიის დამსწრე წევრები.

6. კომისიის წევრს უფლება აქვს, თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შე-

სახეც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

მუხლი 29. ატესტაციის შედეგები

1. კომისია ვალდებულია თითოეული მოხელის ატესტაციის შედეგების შესახებ მოამზადოს დასკვნა, რომელიც ფორმდება სხდომის ოქმით და მას ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები.

2. ატესტაციის შედეგები შეტანილ უნდა იქნეს კომისიის მიერ წინასწარ დადგენილ საატესტაციო ფურცელში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები. საატესტაციო ფურცელი ივსება ერთ ეგზემპლარად და დახასიათებასთან ერთად თან ერთვის მოხელის პირად საქმეს.

3. მოხელე საატესტაციო ფურცლის შევსებიდან ორ დღეში ეცნობა და ხელს აწერს მას.

4. კომისიის დასკვნისა და რეკომენდაციის საფუძველზე, დამნიშნული პირი ატესტაციის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში, მოხელის პირად საქმეში ასახვით, შესაბამისად იღებს შემდეგ გადაწყვეტილებებს:

- ა) მოხელისთვის სპეციალური წოდების ან/და საკლასო ჩინის მინიჭება ან ჩამორთმევა;
- ბ) მოხელის დაწინაურება ან დაქვეითება;
- გ) მოხელის კვალიფიკაციის ამაღლება;
- დ) მოხელის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება.

ე) მოხელის მიმართ ატესტაციის შედეგის პირად საქმეში ასახვის შესახებ (იმ შემთხვევაში, თუ მოხელე შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას).

5. თუ ატესტაციის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად მოხელე არ შეესაბამება ან ნაწილობრივ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას და იგი სხვა თანამდებობის დაკავებაზე ან კვალიფიკაციის ამაღლებაზე უარს აცხადებს, დამნიშნულ პირს უფლება აქვს მოხელე გაათავისუფლოს თანამდებობიდან.

6. ატესტაციის შედეგების შესახებ კომისია ამ წესის 25-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ შესაბამის პირს (პირებს) მოახსენებს და საჯარო სამსახურის ბიუროში წარადგენს ინფორმაციას ატესტაციის პროცესის დასრულებიდან (კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან) ერთ კვირაში.

მუხლი 30. ატესტაციის შედეგების გასაჩივრება

ატესტაციას დაქვემდებარებულ პირს უფლება აქვს, ატესტაციის შედეგები გასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში ხოლო შემდეგ - სასამართლოში, ან არ გამოიყენოს საპრეტენზიო კომისიისადმი მიმართვის უფლება და ატესტაციის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული საჩივარი წარადგინოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლოში.

ზობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N39

2014 წლის 21 ნოემბერი ქ. ზობი

ზობის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და ზობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტისა, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 და 25-ე მუხლებისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ზობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1
დამტკიცდეს თანდართული „ზობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ (დანართი 1).

მუხლი 2
დამტკიცდეს თანდართული „ზობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ (დანართი 2).

მუხლი 3
ამ დადგენილებით განსაზღვრული დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები გავრცელდეს ზობის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და ზობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში დასაქმებულ, ატესტაციას დაქვემდებარებულ მოხელეებზე, დაკავებულ თანამდებობათა შესაბამისად.

მუხლი 4
ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ზობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატსა და გამგეობაში საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ზობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 30 მაისის N12 დადგენილება.

მუხლი 5
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2014 წლის 21 ნოემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ელიშერ ჯობაძე**

დანართი 1

ზობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

თავი I.
ზოგადი მოთხოვნები
მუხლი 1. სავალდებულო მოთხოვნები ზობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად

1. ზობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად პირს მოეთხოვება „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ატესტაციის ტესტირების ეტაპების ჩატარების მეტოდიკის, თემატიკისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2014 წლის 10 სექტემბრის №73/სა ბრძანებით ტესტირებისთვის გათვალისწინებული შემდეგი თემატიკის სამართლებრივი აქტებისა და საკითხების ცოდნა:

- ა) საქართველოს კონსტიტუცია;
 - ბ) საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
 - გ) ევროპული ქარტია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“;
 - დ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
 - ე) საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“;
 - ვ) უნარ-ჩვევები.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული თემატიკით ჩასატარებელი ტესტირების ფარგლებში, ტესტირების ეტაპის მინიმალური გამსვლელი ზღვარი პირისთვის დადგენილია არანაკლებ 52%-ის ოდენობით (32 სწორი პასუხი 60 ტესტური დავალებიდან).

მუხლი 3. მოთხოვნები ზობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურის განყოფილების უფროსის საჯარო თანამდებობის დასაკავებლად

ზობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურის განყოფილების უფროსის საჯარო თანამდებობის დასაკავებლად, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების პირველი მუხლით გათვალისწინებული საკითხების ცოდნისა, პირს მოეთხოვება:

- ა) უმაღლესი განათლება (სასურველია, შესაბამისი სამსახურის დებულებით განყოფილების კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროში);
- ბ) მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება (სასურველია, საპასუხისმგებლო თანამდებობაზე);
- გ) გამართული წერისა და მეტყველების უნარი;
- დ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) და Internet Explorer-ის კარგ დონეზე ცოდნა.

მუხლი 4. მოთხოვნები ზობის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლის საჯარო თანამდებობის დასაკავებლად

ზობის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლის საჯარო თანამდებობის დასაკავებლად, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების პირველი მუხლით გათვალისწინებული საკითხების ცოდნისა, პირს მოეთხოვება:

- ა) უმაღლესი განათლება;
- ბ) საჯარო სამსახურში მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება;
- გ) გამართული წერისა და მეტყველების უნარი;
- დ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) და Internet Explorer-ის კარგ დონეზე ცოდნა.

მუხლი 5. მოთხოვნები ზობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტის საჯარო თანამდებობის დასაკავებლად

ზობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტის საჯარო თანამდებობის დასაკავებლად, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების პირველი მუხლით გათვალისწინებული საკითხების ცოდნისა, პირს მოეთხოვება:

- ა) უმაღლესი განათლება (სასურველია, სამუშაოს აღწერილობით მის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროში);
- ბ) მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;
- გ) გამართული წერისა და მეტყველების უნარი;
- დ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) და Internet Explorer-ის კარგ დონეზე ცოდნა.

მუხლი 6. მოთხოვნები ზობის მუნიციპალიტეტის გამგეობის წამყვანი სპეციალისტის საჯარო თანამდებობის დასაკავებლად

ზობის მუნიციპალიტეტის გამგეობის წამყვანი სპეციალისტის საჯარო თანამდებობის დასაკავებლად, გარდა ამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების პირველი მუხლით გათვალისწინებული საკითხების ცოდნისა, პირს მოეთხოვება:

13

სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N40

2014 წლის 21 ნოემბერი ქ. სობი

სობის მუნიციპალიტეტში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 16-ე მუხლის მეორე ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მეორე ნაწილის და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, სობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

სობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საავტომობილო გზებზე განთავსდეს შემდეგი სახის საგზაო ნიშნები:

ა) ქ. სობში, ბერიას ქუჩის დასაწყისში (ბერიას ქუჩიდან ცოტნე დადიანის ქუჩის მიმართულებით) – პრიორიტეტის საგზაო ნიშანი 2.4. „მოძრაობა გაუჩერებლად აკრძალულია“ (უკრძალავს მძღოლს მოძრაობის გაგრძელებას „სდექ“ ხაზის წინ გაუჩერებლად, ხოლო თუ იგი არ არის – გადასაკვეთი სავალი ნაწილის ნაპირთან);

ბ) ქ. სობში, სტალინის ქუჩიდან ბერიას ქუჩის მიმართუ-

ლებით, სტალინის ქუჩის გადაკვეთაზე (გზაჯვარედინის წინ) – პრიორიტეტის საგზაო ნიშანი 2.3. „დაუთმე გზა“ (გზა, რომელზე მოძრაობა მძღოლიც ვალდებულია გზა დაუთმოს გადასაკვეთ გზაზე მოძრაობ მძღოლს, ხოლო 8.13 დაფის არსებობისას – მთავარ გზაზე მოძრაობ მძღოლს);

გ) ქ. სობში, სტალინის ქუჩიდან 9 აპრილის ქუჩის გადაკვეთის მიმართულებით სტალინის ქუჩაზე (გზაჯვარედინის წინ) – პრიორიტეტის საგზაო ნიშანი 2.1. „მთავარი გზა“ (გზა, რომელზე მოძრაობ მძღოლსაც ენიჭება არარეგულირებადი გზაჯვარედინის გავლის უპირატესობა), ხოლო 9 აპრილის ქუჩაზე – პრიორიტეტის საგზაო ნიშანი 2.3. „დაუთმე გზა“.

დ) ქ. სობში, სტალინის ქუჩიდან კოსტავას ქუჩის გადაკვეთის მიმართულებით, სტალინის ქუჩაზე (გზაჯვარედინის წინ) – პრიორიტეტის საგზაო ნიშანი 2.1. „მთავარი გზა“.

ე) ქ. სობში, სტალინის ქუჩიდან რუსთაველის ქუჩის გადაკვეთის მიმართულებით, სტალინის ქუჩაზე (გზაჯვარედინის წინ) – პრიორიტეტის საგზაო ნიშანი 2.1. „მთავარი

საკრებულოს თავმჯდომარე:

გზა“ ხოლო რუსთაველის ქუჩაზე – პრიორიტეტის საგზაო ნიშანი 2.3. „დაუთმე გზა“.

ვ) ქ. სობში, ჭყონდიდელის ქუჩის დასაწყისში – ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.11. (8 ტონა) „მასის შეზღუდვა“ (კრძალავს იმ სატრანსპორტო საშუალებით და სატრანსპორტო საშუალებათა შემადგენლობით მოძრაობას, რომელთა საერთო ფაქტობრივი მასა აღემატება ნიშანზე აღნიშნულს);

ზ) ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში, რკინიგზის გადასასვლელთან – პრიორიტეტის საგზაო ნიშანი 2.4. „მოძრაობა გაუჩერებლად აკრძალულია“;

თ) ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში სასოფლო საავტომობილო გზის საბავშვო ბაღისა და საჯარო სკოლის მიმდებარე მონაკვეთზე, უსაფრთხოების მიზნით – ავტოსატრანსპორტო სინქარის შემზღუდავი საშუალება (20 გრძ/მ.);

ი) ქ. სობში, 2 საჯარო სკოლის მიმდებარე მონაკვეთზე, უსაფრთხოების მიზნით – ავტოსატრანსპორტო სინქარის შემზღუდავი საშუალება (20 გრძ/მ.).

მუხლი 2.

დაეკლოს სობის მუნიციპალიტეტის გამგეობას ამ დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული საგზაო ნიშნების განთავსებისათვის აუცილებელი დონისძიებების გატარება 30 დღის ვადაში.

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ელდომარ ჯობაპა

სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N42

2014 წლის 21 ნოემბერი ქ. სობი

„სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის და გამგეობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 აგვისტოს N32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, სობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის და გამგეობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 აგვისტოს N32 დადგენილებაში („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, ვებგვერდი, www.matsene.gov.ge, 29.08.2014 წ., სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.106.016131) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი

სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის და გამგეობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები

№	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობრივი სარგოს ოდენობა
1.	გამგებელი	2650
2.	საკრებულოს თავმჯდომარე	2650
3.	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1700
4.	გამგებლის პირველი მოადგილე	1400
5.	გამგებლის მოადგილე	1300
6.	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	1350
7.	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	1350
8.	გამგეობის სამსახურის უფროსი	1000
9.	საკრებულოს აპარატის უფროსი	1000
10.	გამგეობის სამსახურის განყოფილების უფროსი	810
11.	საკრებულოს აპარატის განყოფილების უფროსი	790
12.	გამგებლის თანაშემწე	790
13.	საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე	790
14.	გამგებლის წარმომადგენელი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში	790
15.	მთავარი სპეციალისტი	560
16.	წამყვანი სპეციალისტი	530
17.	უფროსი სპეციალისტი	500
18.	სპეციალისტი	470

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2014 წლის 21 ნოემბრიდან წარმომდებელ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე: ელდომარ ჯობაპა

სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N41

2014 წლის 21 ნოემბერი ქ. სობი

„სობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შე-

სახებ“ სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, სობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„სობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N19 დადგენილებაში („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, ვებგვერდი, www.matsene.gov.ge, 04.08.2014 წ., სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.106.016121) შეტანილ იქნეს ცვლილება:

ა) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ ქვეპუნქტი:
„თ) „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, მშენებლობის ნებართვის გაცემის მიზნით გამგებლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის შემუშავებას; წინადადების შემუ-

საკრებულოს თავმჯდომარე:


შავებას მშენებლობის პროექტის შესათანხმებლად, მშენებლობისთვის არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების მომზადებას, საპროექტო დოკუმენტაციის განხილვას, წინადადების მომზადებას მათი შეთანხმებისა და მშენებლობადამთავრებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2014 წლის 21 ნოემბრიდან წარმომდებელ სამართლებრივ ურთიერთობებზე

ელდომარ ჯობაპა

საქართველოს გამარჯვების გჯეროდეთ



რამდენიმე წლის წინ, ზუბის სკოლაში მოვხვდი. დერეფანში გაჩერებულს შემომესმა მსახიობის ხმა, რომელიც მონოლოგს კითხულობდა, საკლასო ოთახის კართან მალულად მდგომმა მოვისმინე გიორგი მეფის საუბარი პიპასთან (დიდოსტატის მარჯვენა). განსაკუთრებული ემოციებით დატვირთულმა ვიკითხე ამ „მსახიობის“ ვინაობა, იგი ფილოლოგი ირაკლი სიჭინავა გახლდათ.

ბატონი ირაკლი სიჭინავა არამარტო ასწავლიდა ბავშვებს ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებებს, არამედ აყვარებდა იმ ენას, რომელზეც იწერებოდა ეს შედეგები, უმუშავებდა მათ მანათრულ გემოვნებას, თავის დროზე მას „მინი თეატრიც“ ჰქონდა ჩამოყალიბებული.

ირაკლი ყოველთვის გვაოცებს თავისი შემოქმედებითა და მოღვაწეობით. ლექსებში, რომელსაც დღეს ვთავაზობთ მკითხველს, ასახულია ღრმა სიყვარული ყველაფერი მშობლიურისადმი; იგი ამაყია წარსულით, გრძნობს დღევანდელობას, იმედი და რწმენა აქვს მომავლის.

მისი ლექსების თითოეულ სტროფში ჩანს დიდი სიყვარული მოყვასისადმი, თავისი კუთხისადმი. მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია აფხაზეთის თემას, სადაც ერთად მღეროდნენ „აფხიარცას“ და „მახარიას“, „ვაპარადას“ და „ჩელას“.

ბატონი ირაკლის ლექსებში გვხვდება ლექსთა წყობა, რითმები, ლამაზი სიტყვები. **ბანანა შულაია**

ბაბა

საქართველოს ტერიტორიაზე შვიდი წლის ბატონი ზვიად ბამსახურდიას ნათელ ხსოვნას.

„ზოგჯერ ერისკაცს რატაც ეშლება! ზოგი ამაზე ქილიც გესტაობს... არ შეიძლება ერის ფესვებზე გადგმულ ჯაცს რატაც

არ შეეშალოს!“
ზაურ ბოლქვაძე

„ვაი, ნანა“, სამეგრელო, ვინ დათალობს შენი ფიქრი, წერამ ვინდა აიტანა, ვის გადუქრა თვალები ლიბრი... მე მოვდივარ ქოლხეთიდან, უძველესი ქოლხურ ჟივრით. მე მოვდივარ ლაზიკიდან არსაყიდის ხალას ნიჭით; დედა მზით და მამა მთვარით, ალალ და-ძმა ვარსკვლავებით, ჩვენ ბრძოლაში ვლიადებით და არასდროს აღარ ვკვდებით; მე მოვდივარ აივით, მითებით და ლეგენდებით. მეღვასი გრძნულ მადლით, მისნებით და ჯადოქრებით; მე მოვდივარ ფაზისიდან-ცოდნის ტაძრით, სულის წიგნით, არამხუტა უშიშრობით, ამორძალთა ჯავარ-ხიბლით, მე მოვდივარ ბედნიდან-ერით, ბერით, მგალობელით, ჭყონდილით და ჭყონდილელით, სული აღმაშენებელით; მე მოვდივარ მოძღვრის სიბრძნით, გოდებით და სიმღერებით, გაფრენილი ფაფარით და ბუჭდაუკრავ ფალავნებით; მე მოვდივარ წმინდანებით, ჯვარით, რწმენით და ხატებით. სიტყვის მეხანძარებით და ხმაძალიან სარანგებით; მე მოვდივარ ლალაგით და ოცდაათი ვერცხლის სენით, შავი შურის შარბურით, ჯაცმაცუნა ტიგნიცებით; მე მოვდივარ ცხელი გულთა, ხვალეს დიდი იმედებით, ეკლიანი გვირგვინებით, მთვარისა და მზის დროშებით. „სი ქოული, ბატა, მე მარტოს მტოვებო, გულს გენიას მოკიდებულს არ შემობრალეობო?“
1. ბატა „მახარია“
2. შენ სად მიხვალ; ბატა.

აფხაზეთო

„ო, აფხაზეთო, ბევრი ჯარგი მოყმის გამდელიო, ამორძალი ხარ, მკერდმოჭრილი უსაქართველოდ“

მ. ნიშნაიძე

„ერგაშა“, „ერგაშა“-უცნაურზე უცნაური, მუდამ ერთად გვიმტურია ეს სიმღერა ლამეული, „ვაპარადა“ და „აფხიარცა“, „მახარია“, ნაზი „ჩელა“, სულ ისმოდა ტკბილ ჰანგებად იქით-აქით სანატრულად. დღეს ეს რა ვქნათ, ვაი, რა ვთქვათ, ძიძიშვილნო, მორღუებო, საქართველოს დროშის მშვენი, მკვირცხლო, სისხლო აფხაზეთო. რამ განყვიტა ტკბილ ჩონგურის მგრძნობიარე ნაზი სიმი, რამ გაგიქრო ასე მწარედ, თქვი თოლიგე, პირზე ღიმი. საფარ-ბეგი რომელია, მორღუობის გამტეხველი, მამაც ბათუს სიყვარულში, ვინ დარია ცოდვის ხელი. ან რა ვუთხრათ თარამ ემხვარს, ჯაცს, არზაყან ზვამბაიებს, ჩიქოვანებს-დადიანებს, შერვაშიძეთ, ძმობის ხილდებს. ან რა ვუყოთ „გამზრდელს“, „მთის ჯაცს“, „ჰაჰი აბას“ შემართებას, ძმობის შარავანდად უმარა მარტო „მთვარის მოტაცება“. ჩემი მიწა შენს ფრთებს მიღმა, ცოტა იქით მეგულვოდა, ეს კი მართლა არ ვიცოდი ცხუმში ფესვი აღარ მქონდა.

ქოლხური მავია

ხატზე მსასოებლო და გოლქულზე ტკბილო თანაც- „სქან სანთელი“, „გოლქაფირო“, დედის „ნანაგევ“ და „ნანავ“... „ჩელა“ და ფიქროთამბული, სითბოთი და დარღობი მჭვალავს, „აბა ულა“, „სისა ტურა“, არამხუტის გამატებს ძალას... ცირა ფუძის მშვენებაა, ყველა ხვიჩას გაზაფხული... მამლუქობის არ აქვს შიში, გოჩას ხვიჩას სიყვარულით... აივტის შთამომავალთ, ისევ გვიძგერს ქოლხის გული, ოქროს სანმისის გვერდით, ჩონგურიც გვაქვს დაჯიდული, რადგან ქოლხი უჩონგუროდ, ველარ სუნთქავს ამ მიწაზე, სუყვალაფერს ურჩევნია, მისი ტკბილი ხმის სინაზე... მეც მოვდივარ, მოვიმღერი, ქუჩის ჯიშის არ ვარ განა?! „აშო ჩელა“, ვიშო ბუსქა“ ვოუ, ნანა.დიდოვ, ნანა“

სიბუღავ

„ცხრა სოფელი მაჩვენო, იქაც გამოვარჩევო, აივანზე ჩექურთმა მიკიბულ-მოკიბულა, ღმერთო ისე არ მომყლა, სიბუღა არ მაჩვენო, ერთხელ აღარ მაჩვენო, მშვენიერი სიბუღა.“

ჯანსუღ ჩარევიანი

ზღვაურს მოაქვს გრილი სუნთქვა, მთა-გორები მკერდს გიჟოცნის, გუშაგად გყავს „ხიხა“ მომსწრე შენი ყოფნა-არაყოფნის. ჭანისწყალი ნანას გიმღერს, თავს გადაგდის ჩქერალები, მართლა ოქროს თვალსა გეხარ, დადიანის მირონცხებით. „ლალიდ-საურჩე“ ალამაზებს, ჭანისწყალის გაღლის შრიადს, ოცნებების წყაროს ქალთა, დედის მჯობი დედა გქვია. ციცქნა რომ ხარ, რა ვქნა მერე, მუხას მიჯობს ზოგჯერ ია... სადაც წავალ მე შენი მზე და შენი ცა მახატია. ჩემო მკვიდრო ოდაბადევ იის კონა მთავ და მდელოვ, სულ ილხინე, ილაყვარდე, სიბუღელთა სადღეგრძელოდ!!!

გჯეროდეთ!!!

„რად ვიბადებით ეს ქართველები, სულ პირველებად, სულ მეფეებად...“
(შოთა ნიშნაიძე)

ყაყაოები დაათოვს ზეცას, ავმალღებებით ღმერთის ნებით თანდათან, თუ ქართველი სულ პირველთან ერთად- მეორესაც დაიძახებს ხანდახან. და იქნება ყველაფერი ჯარგად, გავითენებთ საოცნებო ასიებს, თუ ქართველი ქართველისთვის სულში- სულ ერთ მუჭა სიყვარულს თუ ჩაიფენს. ნათლის სვეტი ყვლავ შემოსავს განთიადს, სარანგები ბინდის ფერებს მოარღვევს, შარავანდი დაბრწყინდება გულათს, თუ მივყვებით დიდ დავითის ნაჯვალს... ნათლიის ჯინს დავივიწყებთ, გავიგებთ- ვინ გვჭულდეს და ვის უნდა ვეტრფოდეთ, ყორნებით არ დავკოტრგნით ერთმანეთს, საქართველოს გამარჯვების გჯეროდეთ!!!

რამა ეს გრძნობა?!

მზის დამკორტნავ თვალთა შუქით ოთახს აგვირილებ... თავს სამოთხის მკვიდრად ვსახავ- ოდნავ გაიღიმებ... ბავშვურად თუ ვონავარობ- არ მაქვს ყოფა მშვიდი, რა ვქნა შემოქმედება- ბავშვობაა დიდი... არ გენყინოს, ალბათ ასე, დიდმა ღმერთმა ინება, რა ვქნა თუ არ გაგაჯარე- ღამე არ მეძინება... ჩემს წელთ თოვას დაქირქილებს- შენი ლაღი ქალობა, რა ვქნა გიშურ-ვმადლები- მიბრუნდება ბავშვობა...

მამულო ჩემო

როცა ოცნების კოშკებს ვაგებდი, როცა ცა ქუდად აღარ მიმარნდა... ყველა სალოცავ წმინდანზე უფრო- შენი მზე და შენი მთვარე მწვავდა ახლა კი როცა ჯარს გავიხურავ, შენს ლამაზ მთა-ველს თვალს ვერ შევავლებ- იმკვეყნიდანაც შენზე ვილოცებ, ხატად გამყვები შენ, გენაცვალე. მე შენს ფესვებს და მიწას ვკოცნიდი, ქართული სიტყვის სამზეო მწვავდა. მტერი მდევდა თუ მოყვარე მუტავდა- ვცხოვრობდი, ვწერდი, მწამდა, მიყვარდა...

მე სულ გლოდი

შენ არ იყავი-მე სულ მტკიოდა, შენ არ იყავი-მე სულ გლოდი, ფიქრი ლოცვაში გადადიოდა, შენს ჯარგად ყოფნას უფალს შევთხოვდი. თუმცა სულ მედამ მწამდა, მჯეროდა, უხიავ ცულ ხმებს ვუწერებოდი, წყული სენი დამარცხებოდა და ისევ ჩვენთან მხნედ იქნებოდი. ავლავ გაუხსნიდი ცისქარს შენს მერცხლებს, ქეჩის ჯავარად დაბრუნდებოდი, გულს გადუშლიდი ბაღში ყვავილებს, ჩვეულ ღიმილით გაბრწყინდებოდი. მიენდობოდი ჭანისწყლის გაღლებს, შემოიხვევდი ცანზე მის შრიადს, ველარ მოწყვეტი ჭადრებს შავ თვალს, მუხლაპრე, მოჩურჩულე ლელაინს... შენ არ იყავი-მე სულ მტკიოდა, შენ არ იყავი-მე სულ გლოდი, ფიქრი ლოცვაში გადადიოდა, შენს ჯარგად ყოფნას უფალს შევთხოვდი.

დ ე დ ა

ამ ღვთისმშობლის წილხვედრ მიწას, როცა სისხლის წვიმა რწყავდა, დედის გული აცოცხლებდა, დედის ქალთა იფარავდა. როცა ურდო მოგელავდა, ორგულობა გვთხროდა, გვკლავდა, ბრძოლის ველზე დედა იდგა, იბრძოდა და მტერს ხარავდა... ლომის ბოჯვრებს აღვთეს ზრდიდა „იავნანით“ აჯვანს რთავდა, საქართველოს სანათლოდ სიკვდილს სიკვდილით თრგუნავდა. ცხრა ძეს ომში აგზავნიდა, წინამძღოლად, ალამდარად, ხნულში გუთნისდებოდა და „ოროველას“ შემოქრავდა... ო, რა ხნიდან დედა ბოძი- დიდ სიცოცხლეს უშლის ლალ ფრთებს... სანამ დედას დედა ჰქვია, საქართველო სულ იცოცხლებს!!!

მოვუაროთ ჩვენს ქალაქს!..

ქალაქი ხობი ყოველწლიურად ფერს იცვლის, ლამაზდება... ამასწინათ თითქმის ყველა ცენტრალურ ქუჩაზე გაკეთდა ტროტუარი, რამაც ქუჩები ძალიან გაალამაზა და ეს ძალიან კარგია. სამუშაოები იმედია, კვლავ გაგრძელდება, მაგრამ ბევრგან „შეშალათ“ და წყლის გამტარი მილები წესიერად ვერ გააკეთეს, რაც ქალაქის მოსახლეობის უმეტესობას დღესაც ცუდ დღეში აყენებს, როგორც ყოველთვის, წვიმის

დგას ჩალეწილ-დალეწილი, უპატრონოდ მიტოვებული და ელოდება შემკეთებელს. ის კი დიდხანია არ ჩანს. ავტომან-

ტობუსის მომლოდინე ადამიანებზე. მეტი მიხედვა სჭირდება ამავე მოედნის სისუფთავესა და სანაგვეებს, თუმცა



ქანების მომლოდინე ადამიანები ოცნებობენ სკამის (როცმელიც 3 ფიცრით შემოფარგლდება) შემკეთებაზე,

იმედგარეზ გაკეთებული წყლის „ფანტანი“ მომხმარებელს ამაოდ ელის, აბათქვით, გული ვის მიუვა სანაგვესთან არსებული „ფანტანიდან“ წყლის დაღვებაზე? იზრუნეთ ქალაქის იერ-სახის სილამაზეზე ადამიანებო, გაუფრთხილდით ხობსა და მის ღირსებას, ყველამ, ვისაც, ეს

დროს, წყალი დღესაც სახლებში შემოუდით... მაგრამ ჯერჯერობით ვინაა მშველელი. ადამიანების ხმა კვლავ რჩება „მალაღებლისა უდაბნოსა შინა!“

ქალაქში სულ რაღაც ორი მოედანია, სადაც უხვადაა ავტომანქანები-მსუბუქი, სატვირთო თუ სამარშუტო, ხალხმრავლობა ირგვლივ, მოსაცდელეები კი არსად ჩანან, თუმცა კი, ერთი მოსაცდელი დიდი ხანია „ამშვენებს“ ავტოსადგურის მიმდებარე მოედანს, მაგრამ ისეთ მდგომარეობაშია, მას მოსაცდელსაც ვერ ვუწოდებთ, რადგან თავის ფუნქციას ვერ ასრულებს.

მაგრამ ე.წ. მოსაცდელი სანაგვე გამხდარა, ამას ემატება ტროტუარზე ამოსული სტრიბუციონის მიკროავტობუსები თუ კერძო მანქანები. ისე, რომ ფეხით მოსიარულეებს გაკლავს უჭირთ... დროა, (ვინმემ, ვისაც მისი მიხედვა ევალება!) იზრუნოს ავ-



ხელგეწიფებათ. მეტიც, ვისაც სამსახური გავალდებულებთ კიდევ: ნუ მიატოვებთ უპატრონოდ დარჩენილ „მოსაცდელს“...

ნუ მიატოვებთ უპატრონოდ დარჩენილ „მოსაცდელს“... **საკუთარი ინფორმაცია**

განხილვა

2015 წლის 9 იანვარს, 15 საათზე, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში მისამართი: 580. ხობი, ცოტნე დადიანის №189. გაიმართება შ.პ.ს. „შავი ზღვის ტერმინალი“ მეთანოლის მიღება-გადატვირთვის უბნის საცავების ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროექტის-გ.ზ.შ. ანგარიშის საჯარო განხილვა. დადგენილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს: ტერმინალის არსებული სპეციალურად მომზადებული მოწყობილობით მეთანოლის მიღება-დასაწყობება და სახელგაო ტანკერებში გადატვირთვა.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ: ა) სოფელ ყულევი შ.პ.ს. „შავი ზღვის ტერმინალი“-ს ოფისში. ბ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, მისამართი: ხობი, ცოტნე დადიანის №189. საზოგადოების მოსაზრებების და შენიშვნების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2015 წლის 2 იანვრამდე. **საკონტაქტო პირი:** შ.პ.ს. „შავი ზღვის ტერმინალი“ ქ. ხობის საკრებულო 599 85 60 91 ლამპირა თოდუა **ადმინისტრაცია**

მიზიკო იოსავას სახელობის ტურნირი ბილიარდში

18-23 ნოემბერს ბილიარდის კლუბ „მიხეილში“ ჩატარდა 2008 წლის აგვისტოში ტრაგიკულად დაღუპული რეზერვისტის მიხეილ იოსავას სახელობის რიგით მე-7 ტურნირი ბილიარდში, ტურნირი მიზანად ისახავდა პატრიოტული გრძნობების განვითარებას, ჩვენი მუნიციპალიტეტის

კვიკვინიამ. საპრიზო ადგილის მფლობელები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებითა და სიგელებით. ტურნირმა გამოავლინა გამორჩეული მონაწილეები, რომლებსაც ასევე გადაეცათ პრიზები: 1. ყველაზე ნორჩ მონაწილეს



მკვიდრის, 2008 წლის აგვისტოს ომის გმირის, მიხეილ იოსავას სახელის პატივისცემას და უკვდავყოფას, ასევე ბილიარდის, როგორც სპორტის სახეობის პოპულარიზაციასა და ამ სახეობაში მოსახლეობის ჩაბმას.

ტურნირი ჩატარდა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურისა და ბილიარდის კლუბ „მიხეილის“ ურთიერთ თანამშრომლობით. ტურნირში მონაწილეობა მიიღო ხობის მუნიციპალიტეტის 24-მა მკვიდმა და საინტერესოდ წარიმართა. ტურნირი მიმდინარეობდა 2 ასაკობრივ კატეგორიაში და გამოავლინა გამარჯვებულები და პრიზიორები:

- სანდრო ჩიტაიას;
 - 2. ყველაზე უხუცეს მონაწილეს-ლადო ალანაის;
 - 3. ყველაზე პერსპექტიულ მონაწილეს-სანდრო ჩიტაიას;
 - 4. ტურნირის ტექნიკურ მონაწილეს-სანდრო ჩიტაიას
 - 5. ტურნირის საინტერესო მონაწილეს (ნორჩებში)-ფრიდონ გამისონაის;
 - 6. ტურნირის საინტერესო მონაწილეს (აბსოლუტურში)-სანდრო ჩიტაიას, ტურნირის გამორჩეულ მონაწილედ დასახელდა-ლუკა ლოლუა.
- გამარჯვებულებს მიესალმნენ და ჯილდოები გადასცეს ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გონა ქაჯაიამ, ადგილობრივი თვითმმართველობის საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ, კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა როზეტა შულაიამ, ხობის მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას ბიუროს ხელმძღვანელმა რევაზ წულაიამ და კლუბ „მიხეილის“ პრეზიდენტმა შოთა სირაძემ. მონაწილეებს და ორგანიზატორებს საჩუქრები მოუწადეს სამოქალაქო სექტორმა და მიშვიკო იოსავას ოჯახმა.

- ნორჩ მონაწილეთა შორის I ადგილი დაიკავა-სანდრო ჩიტაიამ;
- II ადგილი დაიკავა-ირაკლი კუჭავამ;
- III ადგილი დაიკავა-ლუკა ლოლუამ.
- აბსოლუტურში I ადგილი დაიკავა-ლუკა ლოლუამ;
- II ადგილი დაიკავა-ირაკლი კუჭავამ;
- III ადგილი დაიკავა-ედიკა

WWW.khobi.ge